რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 22 სექტემბერი 1917

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 198. Редакция „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 152 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 152

პური

იმ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომელნიც საზრდოობენ საზოგადო საკვებ ადგილებში (სასადილოებში, რესტორანებში, კაფეებში და სხვ.)

სასადილოებზე, რესტორანებზე და სხვ. მისაცემ პურის რაოდენობის გამოსარკვევად, 25 სექტემბრიდან ზემოხსენებულ საზოგადოებრივ საკვებად ადგილებში, პურს საუზმისათვის, სადილისთვის და ვახშმისთვის მიიღებენ მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივ და ნაწილობრივ საპურე ტალონებით.

ნაწილობრივ ბარათში მთელი დღის რაციონი განაწილებულია 4 ტალონად, ასე რომ ყველას საშუალება ეძლევა მთელი დღის რაციონი დაყოს 4 ნაწილად და თვითეული ამ ნაწილის მიღება შეიძლება ყოველ დროს, ყველა ფურნეში, სასადილოში და რესტორანში.

ჩვეულებრივ ბარათების ნაწილობრივ ბარათებზე შეცვლა შეიძლება საუბნო სასურსათო კომიტეტებში.

იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელთაც საპურე ბარათები პირდაპირ ქალაქის სასურსათო კომიტეტის საპურე ბიუროდან აქვთ მიღებული—შეუძლიათ ჩვეულებრივი ბარათი ნაწილობრივ ბარათზე შესცვალონ მხოლოდ ამავე საპურე ბიუროში, მაგრამ ამასთანავე საჭიროა წარადგინონ საპურე ბარათების სია, მათი ნომრების ჩვენებით, რომელიც იქნება შემოწმებული ამავე დაწესებულების პასუხისმგებელი პირისგან.

3—2 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

პური

დამატებითი პურის ბარათებით (წითელი—ფიზიკურათ მომუშავეთათვის) და ნაწილობრივ ტალონებიან ბარათებით (მწვანე—სასადილოში და რესტორანებში მოსიარულეთათვის) პური 22 ოქტომბრამდე მიეცემა მიმდინარე ტალონებით თანახმათ ტალონებში აღნიშნულ დღის და რიცხვისა.

23 ოქტომბერს დამატებითი და ნაწილობრივ წიგნაკებით პური მიეცემა „23 აგვისტოს“ ტალონით, 24 ოქტომბერს „24 აგვისტოს“ ტალონით და ასე შემდეგ.

ტალონები დამატებითი და ნაწილობრივი ბარათების (წითელი და მწვანე) რომელნიდაც აწერია: „20 აგვისტო“, „21 აგვისტო“ და „22 აგვისტო“—გაუქმებულია.

3—1 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

თფილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტმა

ამა წლის 25 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა დაწესდეს მწვანილეულობაზე გადასაზიდად სადგურზე მიტანით შემდეგი ფასები:

ახალ კომბოსტოზე	1 მან. 80 კაპ. ფუთზე,
ახალ ჭარხალზე	2 მან. 50 კაპ. ფუთზე,
სტაფილოზე	3 მან. 70 კაპ. ფუთზე,
ხახვზე	4 მან. 50 კაპ. ფუთზე,

ეს დადგენილება ძალაში შედის მისი გაზეთში გამოქვეყნების დღიდან.

2—1 თავმჯდომარე დანდუროვი.

თფილისის საგალოსნო სკოლა

შემდეგს აუწყებს მშობლებს და მოწაფეთა ხელმძღვანელებს: ცხოვრების მეტის-მეტად გაძვირების გამო მოწაფეთა შესანახი ფული ტანისამოსიანათ

გადიდებულია 700 მანეთამდე

წელიწადში. წლის პირველ ნახევარში მოწაფემ უნდა შემოიტანოს სკოლის კასაში ნახევარი წლის შესანახი ფული 234 მანეთი და მთელი ტანისამოსის საფასური 236 მანეთი, სულ წლის პირველ ნახევარში უნდა შემოიტანოს 470 მანეთი. მოსამზადებელი კლასი სამუდამოდ დახურულია. ამ წელს ახალ მოწაფეთა მიღება არ იქნება, არც გარედან მოსიარულენი იქნებიან. მეცადინეობა დაიწყება 15 ოქტომბერს. ამ ვადისათვის 1, 2 და მე-3 კლასის შეგირდებმა აღნიშნული ზემოთ ნახევარი წლის გადასახადი 470 მანეთი უთუოდ უნდა შემოიტანონ.

2—2 სკოლის გამგე ბ. მელია.

ბათუმის ოლქის მასწავლებელთა კავშირის გამგეობა
აუწყებს მასწავლებლებს, რომ ამა წლის 23 სექტემბერს, 4 საათზე,
ბათუმის ქალთა გიმნაზიის შენობაში იწვევს

საზოგადო ყრილობას

2—2 გამგეობა.

ბინის დამქირავებელთა კავშირი.

24 სექტემბერს დილის 11 საათ. ქალაქის სახლის დარბაზში შესდგება კავშირის წევრთა

მეორე საერთო კრება

რომელიც კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს (იხილე წესდების მე 21 პარაგრაფი)

ექიმი შ. ვ. მეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible], რუსთაველის ქუჩა, № 19.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. პუშკინის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი დ ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 4—6 ს. შემდ.—ვენერიულ-სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ, ციებიანებს და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: [illegible] შესახ. № 3, (1-ლი საპოლიციო ნაწილი). (24—2)

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა დ განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სპეციალური არსონვალის ტოკით [illegible], გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფებისთვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

თფილისის კოლექტივი

ამიერ-კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირისა აცხადებს, რომ წევრების მიღება დაიწყო. მიიღებიან არა-მოსწავლეებიც (15 წლ. 25 წლამდე). შესასვლელი გადასახადი 1 მ. 50 კ. და საწევრო 50 კ. წევრების მიღება მოხდება 2—3 წევრის თავდებობით. წევრად ჩაწერა ჯერჯერობით შეიძლება მე 4 რეალ. სკოლ. მდებარე ამხ. კოლექტივის ბიუროში ([illegible] ქ., მე 6 გიმნაზიის შენობაში).

(2—2) თფილ. კოლექტივი.

რუსეთის „წითელი ჯვარის“

მოსამსახურეთა სოციალ დემოკრატიული ჯგუფის ცენტრალური კოლექტივის ბიურო ამით მოაგონებს ამხანაგებს, რომ საწევრო აგვისტოს და სექტემბრისთვის ჩვეულებრივ ფულის შემოტანა დააჩქარონ, ვინაიდან ანგარიშის შედგენა გვიახლოვდება.

ფული მიიღება წ. ჯ. მთავარ რწმუნებულის სამმართველოში ანასტასიის ქუჩა № 13, ცენტრ. კოლექტივის მდივანთან ვლ. ჯაველიძესთან 12—3 საათამდე.

ცენტ. კოლექტივის ბიურო.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.

სახალხო სახ. არს. ქართვ. წარმ. მმართველი წრე პარასკევს 22 სექტემბერს 1917 წ. გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

ნამუსისთვის.

დრ. 4 მოქმედებად ზუდერმანისა, თარგმანი კარიჭაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: გ. მარჯანიშვილი, ა. ქეშელავა, ს. რომანიშვილ-ლიღვშეიძისა; ბ-ნნი: ნ. გოცირიძე, მ. ხვედელიძე, გ. ნინიძე, ა. მეგრელიშვილი, ი. მინდიაშვილი და ქუჩუკაძე. ბილეთების ფასი 1 მ. 9 კ. და 20 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 12—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

წრის ადმინისტრაცია სთხოვს საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დაიხდებიან. მაყურებლის შეშვება თეატრში და ფოიეს ზარის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდეგი წარმოდგენა 27 სექტემბერს.

რეჟისორი კ. შათირიშვილი მისი თანაშემწე ალ. ბადრიძე.

ქ. არ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.

კულტურული განვითარება.

რევოლიუციურმა ბრძოლამ, ყოველდღიურმა საქმეებმა, რომელთაც აყენებს გაძლიერებული პოლიტიკური ბრძოლა სახელმწიფოში, გვერდით მოსწია მთელი ენერგია მუშათა კლასის. მრავალრიცხოვან რევოლიუციურ ორგანიზაციებში მუშაობამ წაიღო მთელი ყურადღება და დრო მუშათა კლასის მოწინავე ნაწილის, მისი ავანგარდის. მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელნიც არა ნაკლებ საყურადღებო არიან, გადაუჭრელი რჩება.

ერთი ასეთი საკითხთაგანია მუშათა კლასის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მუშათა კლასს არ შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკით დაკმაყოფილდეს. მისი ძირითადი მისწრაფება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროში ჩაება, თანამედროვე კულტურულ კაცობრიობის ყველა შენაძენს გზიარის, მთელ თანამედროვე განვითარების ნაყოფით ისარგებლოს. სულიერი და გონებრივი განვითარება, ესტეტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ფაქიზი გემოვნების შემუშავება, ეს ერთი დიდი და ძლიერი საშუალებაა მუშათა კლასის ამაღლების, ადამიანური ცხოვრების მოწყობის.

წინათ, ნიკოლოზ რომანოვის მეფობის ხანაში, ამ ნიადაგზე არა-ნაკლებ წინააღმდეგობებს, დაბრკოლებებს ხვდებოდა მუშათა მოწინავე ნაწილი, ვინემ პოლიტიკურ ბრძოლის სფეროში. ძველი რეჟიმის მოტრფიალეთ არ მოსწონდათ მუშა განვითარებული, გონებაგახსნილი. მაგრამ ახალ წყობილებისთვის იგი აუცილებელია. იგი მთავარი საშუალებაა, საუკეთესო გზაა მრავალ ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლათ, რომელთაც დღეს ადგილი აქვთ მასსის შეუგნებლობის წყალობით. ექსცესები გაუგებრობის ნიადაგზე უმეტესათ დღეს აღმოცენებული. პროვოკაციას, [illegible] მისიონერებს, მასსის ქვენა გრძნობათა გაღვიძებას სწორედ კულტურულათ დაბალ საფეხურზე მდგომ ელემენტებში აქვს გასავალი. ფართო წრეები მუშების და მდაბიო მცხოვრებლების, რომელნიც სარდაფებში და ბნელ კუნჭულებში ატარებენ და ალამებენ თავის წუთისოფელს, ღირსი არიან ყველაზე პირველათ ჩვენი ზრუნვის და განსაკუთრებული ყურადღების.

კინემატოგრაფები, ილიუზიონები, ბალაგანები იწვევენ მათ ცუდ ზრდას, კიდევ უფრო ამახინჯებენ მათ სულიერ მოთხოვნილებას გართობისას. ეს დაწესებულებანი—კერძო ინიციატივით მოწყობილნი, მოგების სურვილით, გამდიდრების განზრახვით, მისდევენ მხოლოდ სენსაციას, სდგამენ ისეთ სურათებს, რომელიც უფრო გრძნობებს ულიზინებს, ქუჩის მიდრეკილებებს აძლიერებს, მხოლოდ ხალხს სწორედ ამით იზიდავს და, ამ რიგად, თავის ჯიბეს ასქელებს.

მაგრამ დემოკრატიას აქედან, გარდა ზარალისა, არაფერი ხეირი არ აქვს.

თეატრი, სცენა, კინემატოგრაფი ჩვენს ხალხს უყვარს, იგი თავისუფალ წუთებს სიამოვნებით ატარებს ამ დაწესებულებებში. და მოწინავე ავანგარდი მუშათა კლასის ვალდებულია ამ ხალხის ლტოლვილებით ისარგებლოს. გონიერი საზრდოს მიწოდება მასსისთვის—ასეთი გასართობის შექმნა, რომელიც დროის გატარებასთან ერთათ, სწავლასაც შემატებს რასმე,—აი რა უნდა გახდეს დღეს საზრუნავი საგანი ხალხის გულშემატკივართათვის.

ჩვენ გვქონდა დრამატიული წრე სახალხო სახლში, არის ასეთი წრეები სცენის მოყვარეთა სხვადასხვა რაიონებში, არის ასეთი წრეები პროვინციის თითქმის ყველა ქალაქებში. კინემატოგრაფებით ხომ მოფენილია მთელი ჩვენი მხარე, თუმცა ეგენი ყველა კერძო სპეკულიანტების ხელშია. ზოგან გახსნილია მუშათა კლუბები, დანარჩენში უნდა გაიხსნას.

დაუყოვნებლივ საჭიროა ყველა ამათი ამოქმედება; საჭიროა კინემატოგრაფის თვით მუშათა ხელში აღება, აუცილებელია ყველა სახალხო სცენის მოყვარეთა შეერთებული და შეთანხმებული მუშაობა, რეპერტუარის შემუშავება, კინემატოგრაფის სურათებულ ლენტების გამოძებნა, ერთი სიტყვით, ამ სფეროში გონივრების შეტანა და ხალხის საჭიროებისათვის მოხმარება ყველა ამ საშუალებების.

და ჩვენ იმედი გვაქვს მუშათა კლასი ამ ნიადაგზე მუშაობას საუკეთესო ენერგიით მოეკიდება.

ყვირილი თუ საქმიანობა?

ყველა ახლა, ვისაც პრაქტიკული შემოქმედება არ ეხერხება, მჭევრმეტყველება სიტყვების წარამარა თამაში, ისტერიული კივილი ეჩვენება ქვეყნის მხსნელ საქმეთ. მუდამ წუწუნი, მოთქმა იქ, სადაც საჭიროა აქტიურობა,—აი დამახასიათებელი თვისება ყველა ჯურის ნაციონალისტების.

კარგა ხანია, რაც ამ წუწუნ-ტირილის ფურცლებში ვგ. გომართელიც ჩაება და რაც მეტი დრო მიდის, მით უფრო და უფრო იჭრება მის სიღრმეში. მაგრამ ეს ახალი ამბავი არ არის და ამისათვის არც გვიკვირს; გვაკვირვებს მხოლოდ გაზ. „ალიონის“ რედაქცია, რომელიც გაზეთის ფურცლებზე ალაგს აძლევს ისეთ წერილებს, როგორიც არის ვგ. გომართელის წერილი: „ქართველ მშრომელ ხალხს“. („ალიონი“ № 41.)

წერილს შენიშვნაც კი არა აქვს გაკეთებული. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ რედაქცია იზიარებს ამ წერილში გამოთქმულ აზრებს და შეხედულებებს?!. ნუ თუ „ალიონის“ რედაქცია ბ-ნ გომართელთან ერთად ფიქრობს, რომ ქართველები არიან „საქართველოს თავისუფლების უარმყოფელნი, მონები, რომლებსაც თავისი მონობა პოლიტიკურ სიმწიფის პოლიტიკური სიბრძნის მაჩვენებლათ მიაჩნიათ!“

აქ მონებათ და მონობის მოტრფიალეთ არიან დასახულნი ქართველები, ქართველი ხალხი.., ის ქართველი ხალხი, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობის ავანგარდში იდგა თავიდან და დგას დღესაც, თურმე, თავისუფლების უარმყოფელი ყოფილა. ნუ თუ „ალიონის“ რედაქცია და მისი ბრძენი პუბლიცისტი ფიქრობენ, რომ ქართველ ხალხს თავისუფლების უარყოფამ და პოლიტიკურ მონობისადმი ტრფიალმა გაატარებინა ის უთვალავი მსხვერპლი, რომელიც მან შესწირა განმათავისუფლებელ მოძრაობას?!

დღეს ქართველ ხალხს მთელი ქვეყანა იცნობს, როგორც საუკეთესო მებრძოლს მონობის ბორკილების დასამსხვრევად; მაგრამ რასაც ხედავენ და სცნობენ შორეული უცხოელები, იმას ვერ ხედავენ და ვერ სცნობენ „ალიონის“ რედაქცია და მისი ახალ შეძენილი თანამშრომელი.

ქართველი ხალხი მისი ინტერესების საუკეთესოდ დამცველ, მისი ზრახვათა და გულის თქმების გამომხატველ სოც.-დემოკრატიის სახით გვერდში უდგას მთელი რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას და მასთან ერთად შეთანხმებულად და მტკიცედ შეკავშირებულათ ანგრევს მონობის რეჟიმის ნაშთებს, პოზიციას პოზიციაზე იპყრობს და თან ამაგრებს ამ უკანასკნელს. ქართველი ხალხი რუსეთის დემოკრატიასთან შეკავშირებული სჭედს თავისუფლებას რუსეთში მცხოვრებ ყველა ერებისათვის და მათ შორის ქართველ ერისათვისაც. მართალია, მას ყოველ წუთში ენაზე არ აკერია „ქართველი ერი“, „საქართველო“, მაგრამ, სამაგიეროდ, გულის სიღრმეში აქვს ჩამარხული სიყვარული, როგორც თავის ერის, ისე ყველა უცხო დაჩაგრულ ერების და დაუღალავადაც იბრძვის მათ ეროვნულ პოლიტიკურ ჩაგვრისაგან განსათავისუფლებლათ.

დიახ იბრძვის, მაგრამ არა მარტო სიტყვების რახა რუხით, არა ტირილით და გოდებით, არამედ საქმით: იგი კი არ ლაყბობს, არამედ მოქმედობს, საქმეს აკეთებს. და რა ქართველი ხალხის ბრალია, თუ ამას ვერ გრძნობს და ვერ ამჩნევს „ალიონის“ რედაქცია ან მისი მეფელეტონე, რომელსაც ჰგონია, რომ მან დღეს გაიგო აკაკის სიტყვების აზრი—„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვ“.

აკაკიმ ფურთხის ღირსად დასახა თავად-აზნაურული საქართველო, ის საქართველო, რომელსაც გამოხატავდა სამშობლოს ჯვარ-მენდლებზე გამყიდველი წოდება, დემოკრატიის საქართველო კი აკაკის ყოველთვის იმედით და სიხარულით უვსებდა გულს.

იგი რომ ახლა ცოცხალი იყოს და ჩვენს შოვინისტების ვაგლახობანას ხედავდეს, თავის სიტყვებს ასე გადააკეთებდა: „ფურთხის ღირსი ხართ თქვენ ქართველი ხალხის, ქართველ დემოკრატიის მგმობელნი, საქმის სიტყვებზე გამცვლელნი რედაქტორ პუბლიცისტებო!“.

პრესა.

„საქართველო“ არ ეშვება თავის პირმშო შვილის ქებას.

ავტოკეფალიის დაარსება მას უდიდესი დემოკრატიზმის განხორციელება ჰგონია და ხალხის ნების ყოფის გამოხატულება.

რამდენად გამოხატულება იყო იგი ხალხის ნების-ყოფის, ამას ამოწმებს დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილი საეკლესიო კრების შესახებ დამსწრე ერისკაცთა წარმომადგენელ დემოკრატიულ ნაწილის, ამასვე ადვილათ დაინახავს, ყველა, ვინც გადაათვალიერებს თუნდ იმავე „საქართველოში“ მოთავსებულ ანგარიშებს ამ კრების შესახებ.

გარდა ზოგიერთი ფორმალური და უმნიშვნელო კითხვებისა, რომელიც ეხება ტანისამოსის ტარებას და სხვ. ყველა ძირითადი საყურადღებო კითხვები, რომელთაც კრების უმრავლესობა, ეჭვი არაა, დემოკრატიულათ გადაჭრიდა, მოხერხებულათ გადადებულ იქნა. მაგრამ ეს კითხვა ეხება არსებითად მორწმუნეთა კრებულს და ჩვენც ამ მხრით საგანს არ შევეხებით.

ჩვენთვის საყურადღებოა მხოლოდ ის პოლიტიკურ-სოციალური მიზნები, რომელსაც ისახავდა თავს ამ კრებას და მისგან შექმნილ საეკლესიო წყობილებას მისი სულის ჩამდგმელნი და მეთაურნი.

ეს მიზნები კი, ვიმეორებთ, ისეა დაშორებული სარწმუნოების საკითხისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. და საბჭოში ს.-დ. ფრაქციის წევრებმაც მხოლოდ ეს აღნიშნეს. „საქართველოს“ ასეთი გამოსვლა არ მოსწონს. იგი გულმოსული სწერს:

> „მართალი იყო ხმოსანი, რომელმაც ამ გამოსვლას უწოდა შეუწყნარებელი და შეურაცხმყოფელი! აკი კიდევაც თავაზიანობამ ნებმა არ მისცა სხვა ერთა წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ ფრიად „დელიკატურ“ საკითხში და ერთხმად მოითხოვეს მისი უკან წაღება“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი მორალი „თავაზიანობის და რიგიანობის“ „საქართველოს“ მიერ მოწონებული არც ისეთ [illegible]. [illegible] იწვევს თვით ნაციონალისტთა ბანაკშიაც. მისი მონათესავე გაზეთი „ვოზროჟდენიე“ სწერს: „შეურაცხმყოფელი ქართულ ეკლესიისთვის რეზოლიუციაში არაფერი არ არის“. ცხადია, არა შეურაცხმყოფელი რეზოლიუციის წარმოთქმა არ იქნება შეურაცხყოფის მიმყენებელი სხვისთვის. მაგრამ „საქართველო“ მორალის უკან ამოფარება დასჭირდა სწორედ იმისთვის, რომ არსებითად სათქმელი არაფერი გააჩნია. ეს ჩვეულებრივი ხერხია ყველა ჯურის ნაციონალისტების.

მართლაც, ვინც გადაიკითხავს 21 სექტემბრის „საქართველოში“ რ. ინგილოს წერილს, ამაში ადვილათ დარწმუნდება. რ. ინგილო

საერთაშორისო ომი.

რუმინიის ფრონტზე გერმანელები კვლავ განაგრძობენ მზადებას და უნდათ ფოკშანის მიმართულებით ძლიერი შეტევა დაიწყონ.

დასავლეთ და კავკასიის ფრონტიდან ცნობა არ მოსულა.

მესოპოტამიაში ინგლისელებმა რამდენიმე ათასი კაცი, ჯარის უფროსი და მთელი შტაბი ტყვეთ ჩაიგდეს.

გვიწოდებს იმას, რომ ჩვენ ეკლესიას კლასობრივი თვალსაზრისით ვზომავთ და მას მშრომელთა მხარეს დგომას ვუკიჟინებთ. იგი ეკლესიას „ერის ყველა ნაწილის შეთანხმება თანამშრომლებზე“ აშყარებს. ერთი სიტყვით ეკლესია ერის გაერთიანებული ორგანიზაციათ გამოყავს. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეკლესია უნდა იყოს მხოლოდ მორწმუნეთა გაერთიანებული. ერი კი შეიცავს არა მარტო ამ ეკლესიის შემავალთ, არამედ სხვა სარწმუნოების მიმდევართაც, სრულიად ეკლესიის გარეშე მდგომ ატეისტებსაც და სხვა.

ცხადია, ერისთვის ერთი რწმენის, როგორც „ეროვნული“ რწმენის თავზე მოხვევა—ხოლოდ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება და არა სინდისის თავისუფლებას. ეს იგივე ოფიციალური ეკლესიის არსებობაა. და აი ამას ვეწინააღმდეგებით ჩვენ.

„სხვა ერების წარმომადგენელნი საკითხის გახსნას მოითხოვდნენო“ და ამას იმოწმებს თავის აზრის დასამტკიცებლათ გაზეთი.

ერთში ეს გაზეთი მართალია:

ყველა ჯურის ნაციონალისტები ასეთსავე იარაღათ ხმარობენ თავის ერში ეკლესიას და რა გასაკვირველია, რომ ეკლესიის ასეთი როლის წინააღმდეგ მათ ხმა არ ამოიღონ.

გული გულს იცნობს, და დაშნაკელებმაც ამ შემთხვევაში ძმურათ ხელი გაუწოდეს ქართველ ნაციონალისტებს, რადგან გრძნობდნენ, რომ ამ კითხვის გარკვევა მათ „შინაურ“ საქმესაც გამოაშკარავებდა. მათაც ხომ ასეთივე ეკლესია აქვთ დიდი ხანია და მას ისე ელოლიავებიან, როგორც ჩვენი ნაციონალისტები ქართველს.

დემოკრატიის თათბირი.

(პ. დ. ს.)

დობროვოლსკის ქალი (ქალთა დემოკრატიულ კავშირის წარმომადგენელი) აცხადებს, რომ კავშირი მომხრეა კოალიციურ მთავრობის შედგენის, ხოლო წინააღმდეგია პროლეტარიატის დიქტატურის, რადგან დღეს ის ქვეყანას დაღუპავს.

ნოვიკოვის ქალი ჯარისკაცთა ცოლების კავშირის სახელით პროტესტს აცხადებს, რომ ჯარისკაცთა ცოლებს თათბირზე მხოლოდ ერთი ადგილი მისცეს და ლაპარაკის დრო სამი წუთით არის განსაზღვრული, რისთვისაც ის სიტყვაზე უარს ამბობს.

კორში (ცენტრალურ უკრაინის რადის წარმომადგენელი) აცხადებს, რომ უკრაინის რადამ მოსკოვის თათბირში მონაწილეობა არ მიიღო იმიტომ, რომ ის ფიქრობდა, თათბირი ხელს შეუწყობდა კონტრ-რევოლუციის ძალის თავის წამოყოფას. ეს ჩვენი მოსაზრება გამართლდა კორნილოვის შეთქმულობით. რევოლუციურ ფრონტის მთლიანობის მიხედვით რადამ გადასწყვიტა, წარმომადგენელი გამოეგზავნა თათბირზე, რომ თავისი აზრი გამოეთქვა მთავრობის შედგენის შესახებ. მთავრობა უნდა შესდგეს იმ სოციალურ ელემენტებისაგან, რომლებიც დაინტერესებული არიან რევოლუციის გამარჯვებით (ტაში). ასეთი ძალები არიან პროლეტარიატი, გლეხობა და ჯარი (ტაში). ყოფილ მინისტრების შესახებ კორშმა განაცხადა, რომ იგინი მოვიდნენ აქ აღსარების სათქმელათ, ჩვენთვის კი ფაქტებია საჭირო და ამის შესახებ კი კრინტიც არ დაუძრავთ. კორში კრიტიკას უკეთებს მთავრობის მოქმედებას მიწის საკითხში. ის ხაზს უსვამს, რომ წერეთელი ძირს უთხრიდა მიწის კომიტეტების მოქმედებას ომის და სურსათის საკითხებში და საერთოდ დროებითი მთავრობა ენერგიულათ ებრძოდა რევოლუციონურ ორგანიზაციებს. ამიტომ ეხლა კოალიციაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ უნდა ვეცადოთ რევოლუციურ დემოკრატიის გამაგრებას. ნაციონალურ კითხვების შესახებ კორში ამბობს, რომ მთავრობამ დამფუძნებელ კრებამდე უნდა დასწყვიტოს ნაციონალური ჯგუფები, რადგან ხალხის მასას არ უნდა უცადოს. ცენტრალური უკრაინის რადა ფიქრობს, რომ ახალი მთავრობა უნდა შესდგეს ერთგვარ რევოლუციონურ ელემენტებისაგან. გარდა ამისა დროა მთავრობის უპასუხისმგებლობას მიწის საკითხში ბოლო მოეღოს. მთავრობამ უნდა მოაწყოს საკაბინეტო, საუფლისწულო მემამულეთა და საეკლესიო მიწების, მიწების კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა. სასურსათო საქმის მოსაწყობად საჭიროა წარმოების და განაწილების საქმეს სახელმწიფო კონტროლი გაუწიონ. ფინანსიურ საკითხში საჭიროა მსხვილ კაპიტალებზე გადასახადების დაწესება. ზავის საკითხში მთავრობამ მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს, დაუყოვნებლივ მისცეს წინადადება მოკავშირეებს და მოწინააღმდეგეებს დაიწყონ ზავზე მოლაპარაკება. საჭიროა სიკვდილით დასჯის გაუქმება. თათბირის ნაწილი კორშს ტაშს უკრავს.

შემდეგ ლაპარაკობენ უკრაინის ს.-რევოლუციონერთა სახელით შილოვსკი, უკრაინელ ს.-დემოკრატების ტკაჩენკო. ერთიც და მეორეც კოალიციის წინააღმდეგი არიან.

ცადიკოვი (მუსულმანთა სრულიად რუსეთის საბჭოს წარმომადგენელი). აცხადებს, რომ თუმცა მუსულმანები ძველი რეჟიმის დროს აუტანელ მდგომარეობას განიცდიდნენ, მაგრამ არც ახალი რეჟიმის დროს არიან კარგ მდგომარეობაში. ამიტომ თავის თავათ ცხადია, იგინი მომხრე უნდა ყოფილიყვნენ მთავრობა სავსებით საბჭოების ხელში გადასულიყო, მაგრამ ამას არ სჩადიან, რადგან ეშინიათ სამშობლოს დაღუპვის. მუსულმანები 8 ივლისის და 14 აგვისტოს პლატფორმაზე დგანან და მხარს უჭერენ კოალიციას იმ ჯგუფების გამოკლებით, რომლებმაც სახელი გაიტეხეს კორნილოვის აჯანყების დროს. ნაციონალურ კითხვის შესახებ მუსულმანები არაფერს იტყვიან დამფ. კრებამდე, მხოლოდ მოითხოვენ ერთს. მთავრობასთან მუსულმანთა საქმეებისთვის სეკრეტარიატს სტატს-სეკრეტარით, რომელსაც მინისტრის ამხანაგის უფლება ექნება. მუსულმანები საჭიროთ სცნობენ დაუყოვნებლივ გადაჭრილ იქნას საკითხი ჯარის ნაციონალიზაციის შესახებ (ტაში).

ნამიტოკოვი (ჩრდილოეთ კავკასიის და დაღესტნის წარმომადგენელი). მე ვილაპარაკებ საზოგადო სახელმწიფოებრივ საკითხების შესახებ, რადგან ცალკე კერძო ნაწილების მიზნების და მოთხოვნილებების შესახებ ლაპარაკი შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც მოქალაქობრივი მოვალეობის გრძნობა დაჰკარგა (ტაში). ერთად-ერთი საჭირბოროტო კითხვაა მთავრობის შედგენა. საჭიროა რევოლუციის და ქვეყნის ხსნა, და ეს შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ცოცხალ ძალთა კოალიციით. ჩრდილოეთ კავკასიის მთიულები უარჰყოფენ რევოლუციის ხსნას ქვეყნის დაუხსნელათ.

ნუცუბიძე (ნაციონალურ სოციალისტურ პარტიების საბჭოს წარმომადგენელი), ყველა ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიების სახელით კითხულობს დეკლარაციას, რომლითაც აცხადებენ, რომ ძლიერ მთავრობის შესადგენათ და მომავალ სახელმწიფოებრივ საძირკვლის ჩასაყრელათ საჭიროა რევოლუციონურ დემოკრატიის მჭიდროთ შეკავშირება, სოლიდარული ბრძოლა სოციალურ და ნაციონალურ მოთხოვნილებისთვის, რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის გამოცხადება ნაციონალურ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფით, ნაციონალურ შეზღუდვის გაუქმება, ენათა, სკოლების, სასამართლოების და თვითმართველობათა უფლებრივ თანასწორობის დეკრეტის გამოცემა, ნაციონალურ საბჭოს შექმნა. უნდა მოიწვიონ ნაციონალური დამფუძნებელი კრებები, ნაციონალურ ჯარის ნაწილების შედგენა. ეს პროგრამა მთავრობის პროგრამა უნდა იქნეს.

აბრამოვიჩი (ებრაელ მუშათა კავშირის წარმომადგენელი) წინააღმდეგია კოალიციის და ამბობს, რომ რუსეთში არ არის ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც დემოკრატიის პროგრამას ღებულობდეს. შემდეგ ის ეხება ნაციონალურ საკითხს და მოითხოვს განხორციელებულ იქნეს ავტონომია.

შემდეგ ლაპარაკობენ პოლონეთის სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი ლაპინსკი და კლევსკი. პირველი კოალიციის წინააღმდეგია. მეორე მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩამოგდებულ იქნას უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი.

პოლონეთის ს.-დემოკრატიის წარმომადგენელი კითხულობს დეკლარაციას, რომელშიაც იგივე აზრი არის გატარებული როგორც მოსკოვის და პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს რეზოლუციებში.

ესტონელთა მშრომელ სოციალისტურ პარტიის სახელით ლაპი უერთდება ნუცუბიძის რეზოლუციას.

რაბკინი (ებრაელთა გაერთიანებული სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელი) აცხადებს, რომ ის მომხრეა კოალიციურ მთავრობის და სჯერა, რომ რევოლუციონური დემოკრატია და ჯარი შეერთებული ძალით წინააღმდეგობას გაუწევს ანტისემიტებს.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წარმომადგენელი ხუციანი და ბელორუსის სოციალისტურ გრომადის კვენოვსკი მომხრე არიან ცალკე ერების საბჭოს დეკლარაციის.

ნაზარიანცი (დაშნაკცუტიუნის წარმომადგენელი) აცხადებს, რომ ომმა სომხების მხრით დიდი მსხვერპლი შეიწირა და მათ ძალიან სწყურიათ ზავი, მაგრამ ისეთი ზავი კი არა, რომელიც მავნებელი და სამარცხვინო იქნება ჩვენთვის. ჩვენ გვსურს ისეთი ზავი—ამბობს ორატორი—რომელიც უზრუნველ ჰყოფს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებას. ნაციონალურ კითხვის შესახებ სომხები არავითარ მოთხოვნას არ აყენებენ დამფუძნებელ კრებამდე. რაც შეეხება მთავრობას, ჩვენ გვრწამს, რომ მხოლოდ დემოკრატიაზე დამყარებულ მთავრობას შეუძლია ქვეყნის დაღუპვისაგან ხსნა.

იანუშკევიჩი (მშრომელ ლიტვის საბჭოს წარმომადგენელი). ლიტველთა თავისუფლება პირდაპირ შეკავშირებულია რუსეთის საერთო მდგომარეობასთან, ამიტომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალ-ღონით უნდა ვეცადოთ რევოლუციის გაღრმავებას, მთავრობის უპირველესი საქმეა კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლა. ომის შესახებ ორატორი ამბობს, რომ მას ბოლო უნდა მოეღოს. მთავრობამ ყოველივე ღონე უნდა იღონოს ზავის ჩამოსაგდებათ, მხოლოდ უკონტრიბუციო და უანექსიო ზავის. საჭიროა საგანგებო აქტი ლიტვის თვითგამორკვევის უფლების შესახებ. კოალიციურმა მთავრობამ ვერაფერი გააკეთა, ამიტომ საჭიროა ძლიერი ერთგულობით რევოლუციური მთავრობა, რომელიც დაყრდნობილი იქნება რევოლუციურ დემოკრატიაზე და მის წარმომადგენლებით ორგანოებზე.

შემდეგ ლაპარაკობენ ესტონელების, ბურიატების და რუმინიის ფრონტის ჯარისკაცთა ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლები.

კრება იხურება.

18 სექტემბერი.

კრება იხსნება დილის 12 ს. და 10 წუთზე ლაპარაკობენ ეკონომიურ ჯგუფის ორატორები.

გრომანი ახასიათებს ქვეყნის დღევანდელ ეკონომიურ მდგომარეობას და მთავრობის ამ დარგის პოლიტიკას; ის აცხადებს რომ 14 აგვისტოს დეკლარაციაში აღნიშნულია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოსაწყობი სრული სისტემა, მიუხედავად დაპირებისა, ამ დეკლარაციის შემდეგ მთავრობამ პურზე მაგარ ფასებს 100 პროც. მოუმატა. ქვეყანას შიმშილის აჩრდილი ადგას თავს. საჭიროა მთავრობა დაუყოვნებლივ შეუდგეს შრომის მოწესრიგებას. შემდეგი ორატორები შუბი და ჩერევანინი განმარტავენ, თუ რა ზომები უნდა მიიღოს მთავრობამ, რომ იხსნას ქვეყანა ეკონომიურ კრიზისისაგან და მოსალოდნელი შიმშილი თავიდან აიცილოს.

ვომპე. (რკინის გზის კავშირის წარმომადგენელი) აღნიშნავს რკინის გზის საქმეების არეულ დარგს. ადმინისტრაცია ისევ ძველი დარჩა, ცენტრის სამართველოებში და ადგილობრივ კონტრ-რევოლუციონერები თავთავიანთ ადგილებზე მაგრად სხედან. საჭიროა ადმინისტრაციის კონტროლი და პასუხისმგებლობა. რკინის გზის მუშათა საწარმოო ძალების დაცემა გამოწვეულია ძლიერ მცირე ჯამაგირებით, რკინის გზების მდგომარეობა საშიშია. საჭიროა რეფორმები, საჭიროა ყველა დაწესებულებების გაწმენდა.

სკრიპნიკი აღნიშნავს ქარხნების კომიტეტების როლს წარმოების მოწესრიგებაში. კომიტეტებს ხელს უშლიდნენ მთავრობის ორგანოები მინისტრ სოციალისტების დახმარებით. (პროტესტი, ყვირილი: „ძირს!“ უკიდურესი მემარცხენენი ტაშს უკრავენ) მთავრობა უშლიდა საერთოთ ლითონის მუშათა ფართე ორგანიზაციის შედგენას, მთავრობის პოლიტიკა ანგრევს წარმოებას; მეწარმეებს მილიონებს აძლევენ და მუშათა ორგანიზაციებს დახმარებაზე უარს ეუბნებიან. დემოკრატიის თათბირი მოსკოვის თათბირის მეორე გამოცემა იქნება. შემცირებულია მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების წარმომადგენლობა და გადაჭარბებულია არა დემოკრატიულ ორგანიზაციების (ხმაურობა, პროტესტი). პეტროგრადის 360 ათას მუშის დეკლარაცია მოითხოვს დემოკრატიის წარმომადგენელთა უფლებების გაფართოებას, კონტრ-რევოლუციონერებზე საჯარო დემოკრატიულ სასამართლოს დანიშვნას, დაინიშნოს მთავრობა მებრძოლ სახელმწიფოთა წინადადების მისაცემათ, ჩამოაგდონ საყოველთაო დემოკრატიული ზავი. მემამულეების და სამონასტრო მიწებზე კერძო საკუთრების გაუქმება, წარმოებაზე კონტროლს, ქონებისა და მოგებაზე გადასახადების შემოღებას და სხ.

ვინოკუროვი—(მუშათა სოციალურ დაზღვევის ჯგუფის წარმომადგენელი) კრიტიკას უკეთებს სკობელევს, რომელმაც მუშების მოთხოვნები შეკვეცა და აღნიშნავს მუშათა დაზღვევის ნაკლოვანებებს. პროლეტარიატი დაზღვევის კონფერენციიდან ელოდა შეთანხმების პოლიტიკას და სცნო ერთი მთავრობა ჯარისკაცების, მუშების და გლეხების. ვინოკუროვის აზრით მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია ომის საკითხის გადაწყვეტა და დაჭრილ დასახიჩრებულ ჯარისკაცთა უზრუნველყოფა. მთავრობის შესახებ საკითხი გადასწყდება არა იმ თათბირზე, სადაც მოიჩინან მეოთხე დუმის აჩრდილები, არამედ რევოლუციონურ ყრილობაზე.

კანი—(ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის წარმომადგენელი) ამბობს, რომ მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია ნამდვილი მთავრობის შედგენა. საჭიროთ სცნობს მოიწვიონ მუშათა დემოკრატია ქვეყნის დასაცველათ და დაარსონ წინასწარი პარლამენტი. შემდეგ ის კითხულობს ტაშკენტიდან მოსულ დეპეშას იქ მომხდარ არეულობის შესახებ, რომლის დროსაც ხელში ჩაიგდეს ფოსტა ტელეგრაფი და ამბობს, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ყველა მოსამსახურენი მთელის ძალ-ღონით შეებრძოლებიან ყოველივე ანარქიულ, კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლას... (მქუხარე ტაში).

გერდი—(სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის წარმომადგენელი) აღნიშნავს, რომ კავშირის უმრავლესობა მომხრეა კოალიციის, მაგრამ იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეთ იმ ელემენტებს, რომლებსაც უნდათ ძველის დაბრუნება და იმ უკიდურეს მემარცხენეებს, რომლებიც ბუნტობენ რევოლუციონურ მთავრობის წინააღმდეგ. ხალხის განათლების საქმე მთავრობამ ქალაქის თვითმართველობებს უნდა გადასცეს, თვითეულ ერს ნება უნდა მისცეს განათლება სამშობლო ენაზე მიიღოს. კავშირის დელეგატთა უმცირესობა კოალიციის წინააღმდეგია და ერთგვარ რევოლუციურ დემოკრატიის მთავრობას აღიარებს.

პაპოვი (ფერშალთა კავშირის წარმომადგენელი) კოალიციის და წინასწარ პარლამენტის შედგენის მომხრეა. შემდეგ ლაპარაკობენ მეჯვეთი სიტყვის წარმომადგენელი შიპულსკი, მდივანი ცედენსკი, წყლის მუშათა კავშირის წარმომადგენელი, ინჟინერ-ტეხნიკთა წარმომადგენელი, გზების ინჟინერთა წარმომადგენელი ლაკროვი, ტეხნიკთა, ინჟინერთა და მუშათა წარმომადგენელი ტრახტენბერგი, სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელი პუსენი. პირველი სამი კოალიციის წინააღმდეგია დანარჩენები მომხრე.

კრება სადამოს ხუთ საათამდე სწყდება.

კრების გახსნისას პირველად ლაპარაკობს სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა კავშირთა კავშირის წარმომადგენელი სოკოლოვი, რომელიც მომხრეა კოალიციურ მთავრობის. ის უერთდება მშრომელ ინტელიგენციის დეკლარაციას.

ბირიუკოვი. (მიწის კომიტეტების წარმომადგენელი) აღნიშნავს, რომ ყოვლად უსაფუძვლოდ უსაყვედურებენ მიწის კომიტეტებს, რომელთა ნაყოფიერი მუშაობა დამოკიდებულია ცენტრალურ მთავრობის მდგომარეობაზე და იმ ნდობაზე, რომელითაც ის სარგებლობს. ორატორი აღნიშნავს, რომ აგრარული კანონი ვერ არის გარკვეული. ეს არის მიზეზი მიწების დატაცების. მთავრობის შედგენის საკითხში ის მომხრეა აირჩიონ ისეთი მთავრობა, რომელიც იქნება ჩხეიძის მიერ 14 აგვისტოს გამოქვეყნებულ დეკლარაციის პლატფორმაზე. მთავრობა უნდა დაეყრდნოს იმ ორგანოს, რომელსაც შექმნის დემოკრატიის თათბირი. დასასრულ ბირიუკოვი წინადადებას იძლევა ყველა მიწები კომიტეტების განკარგულებაში გადასცენ.

ჩხენკელი. ქართველი ერი მზათ არის თავი დასდოს რუსეთის რევოლუციისთვის. ქართველებმა ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებამდე გადასდვეს. ქვეყნის ხსნა შეიძლება მხოლოდ ყველა ნაციის საერთო ძალით. აქ მე მოვუსმინე სხვა და სხვა ერთა წარმომადგენლებს, მხოლოდ არც ერთს რუსის ერისას. (ტაში) მე მინდოდა გამეგონა მისგან მისი აზრი საერთო რუსეთის საკითხის შესახებ. დღეს ჩვენ წინ ძველი საკითხი კი არა სდგას „ინოროდცების“ შესახებ, არამედ მთელი რუსეთის ერთა შესახებ. ეს მთელი ქვეყნისთვის საბედისწერო საკითხია. ქართველებში ნაციონალური გრძნობა არ განსხვავდება საერთო რუსულისგან (ტაში). მე მინდოდა გრძნობაც არ განსხვავებულიყო ჩვენისგან. აქ ამბობენ მთავრობაზე და მის კომბინაციაზე და არ სჩანს თავი და თავი, ეს არის ნაციონალური გრძნობა. (ტაში) ჩვენ გვინდა დიდებულ რევოლუციის გამარჯვება მოვიპოვოთ ქვეყნის დაცვით (ტაში). ბოლშევიკების პროგრამაში მე ვერავითარ ქვეყნის დაცვას ვერ ვხედავ (ტაში, ოვაცია) მე მრწამდა, რომ რევოლუცია იხსნიდა ქვეყანას, მაგრამ ეხლა ეს რწმენა შეირყა ([illegible]?) მოპოვებულ გამარჯვების შენარჩუნების. უკეთუ ამ მსოფლიო ომში დავმარცხდით, მაშინ ქართველები, რომლებიც ჯერ სეპარატიულად არ გამოსულან, ერთ სეპარატიულ გამოსვლას მოახდენენ. ქართველები იფიქრებენ: რუსეთის დიდებულ რევოლუციისათვის საჭირო ხომ არ არის მათ (დამახინჯებულთ) (დიდი ოვაცია).

როგალსკი (გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენელი) წინადადებას აძლევს თათბირს მიმართოს ყველა ქვეყნის დემოკრატიას მოწოდებით, რომ რუსეთის დემოკრატია შეასრულებს დანაპირებს და განაგრძობს ბრძოლას მთელი ქვეყნის თავისუფლებისათვის.

შრეიდერი (პეტროგრადის ქალაქის თავი) აცხადებს, რომ მთავრობა პასუხისმგებელი უნდა იყოს ხალხისა და ქვეყნის წინაშე. ქვეყნის ნების გამომხატველი იქნება დამფუძნებელი კრება. ქალაქების ერობათა და სხვა დემოკრატიულ ელემენტების მონაწილეობით უნდა შესდგეს ორგანო, რომლის წინაშე პასუხისმგებელი იქნება მთავრობა, (ტაში) ქალაქის ჯგუფის უმცირესობის წარმომადგენელი. სანდომირსკი წინააღმდეგია შრეიდერის წინადადების და ამბობს, რომ ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენელია დეპუტატთა საბჭოები, რომლებმაც უნდა შეადგინონ მთავრობა და წინასწარ პარლამენტი, სადაც შევლენ საბჭოთა, ერობათა და სხვა რევოლუციონურ დემოკრატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ხოლო იქ ადგილი არ ექნება ცენზიან ელემენტებს (კრების ნაწილი ტაშს უკრავს).

ორაძე (უკრაინის გლეხთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი) ამბობს, რომ უკრაინელები არ ცდილობენ ჩამოშორდნენ რუსეთს. კიევში მომხდარ გლეხთა ყრილობაზე 2000 კაციდან, მხოლოდ 19 გამოვიდა მომხრე რუსეთიდან განცალკევების ორატორი მოითხოვს შესდგეს ძლიერი მთავრობა როგორც ცენტრში ისე ადგილობრივ, მოაწესრიგოს სასურსათო საქმე და სასტიკი ბრძოლა დაიწყონ კონტრ-რევოლუციონერებთან.

ალექსეევი (გლეხთა საგუბერნიო საბჭოთა წარმომადგენელი). გლეხები დარწმუნებული არიან, რომ რევოლუციონურ მთავრობის შეწევნით მიწებს მიიღებენ. გლეხები ყოველთვის მოითმენენ, ხოლოდ უმიწოთ ცხოვრება მათ არ შეუძლიათ. გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო საბჭოები ცდილობდნენ გლეხების მოძრაობისთვის ორგანიზაციული ხასიათი მიეცათ. როცა მთავრობაში ს.-რევოლუციონერი ჩერნოვი შევიდა, გლეხებს იმედმა გაუღიმა; ეხლა დემოკრატიულ თათბირის იმედი აქვთ და მოითხოვენ მიწები მიწების კომისიას გადაეცეს, რომ აგრარული კატასტროფა არ მოხდეს. მთავრობის შედგენის შესახებ ალექსეევი ამბობს, რომ ის უნდა იყოს ერთგვარი და დემოკრატიული, [illegible] უარჰყოფს კოალიციის იდეას. საჭიროა მთელი დემოკრატიის გაერთიანება. (ტაში, ოვაცია).

რამიშვილი—მთავრობის ერთად ერთი წყარო ეხლა დემოკრატია არის. მთავრობა იმ ორგანოს წინაშე უნდა იყოს პასუხისმგებელი, რომელსაც შექმნის ეს დემოკრატიის თათბირი. მე უარვყოფ კოალიციის პრინციპს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ის აუცილებლათ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მოექცევა. მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი დამფუძნებელი კრების ადრე მოწვევა, კერძო მფლობელთა მიწების ჩამორთმევა, მიწების ფონდების დაარსება და მისი დამფუძნებელ კრებამდე მიწების კომიტეტების ხელში გადაცემა და აგრეთვე ჯარის ხელმძღვანელთა განახლება, რაშიაც მეტათ დაინტერესებულია გლეხობა, როცა კოალიციური მთავრობა აღარ იქნება.. ყველას სწყურია შესდგეს ძლიერი მთავრობა. ამგვარი მთავრობა იქნება ხოლოდ ერთი გვარი, დემოკრატიული. კოალიციურ პრინციპზე აშენებული მთავრობა აუცილებლათ მეორე კორნილოვამდე მიგვიყვანს, მაგრამ ეს კორნილოვი უფრო ფხიანი და გამოცდილი გამოდგება და რევოლუციას დაასამარებს. (ტაში).

უსტინოვი აცხადებს თითქოს მიწების კომიტეტების დაარსებამ დაარღვია სოფლის მყუდროება. ადგილობრივ არეულობები ცენტრალურ მთავრობის უძლური განკარგულებამ გამოიწვია, როგორც მაგალითათ ჩერნოვის, წერეთლის და პეშეხონოვის ცირკულიარებმა. ჩერნოვის განკარგულების გაუქმება მოხდა ბურჟუაზიის ზეგავლენით, რომელმაც იარაღათ გამოიყენა მთავრობაში მყოფი სოციალისტური ელემენტები. გლეხობას არ შეუძლია მემამულეებთან ერთად მოახდინოს რევოლუცია და სწორეთ ეს არის კოალიცია. (ტაში) ექვსი თვის განმავლობაში გლეხებმა ვერაფერი მიიღეს და იგინი თანდათან რწმენას ჰკარგავენ მთავრობისა და რევოლუციონურ დემოკრატიისადმი. უკეთუ დემოკრატიის თათბირი პირდაპირ არ დასვამს აგრარულ და სასურსათო საკითხს, რით უნდა დავბრუნდეთ სახლში? გლეხები გვეტყვიან, რაკი თქვენ ვერაფერი გაგვიკეთეთ, ჩვენ საქმეს თვით ჩვენ გავაკეთებთო (ტაში).

ბულანკოვი (ჯარში გლეხთა სექციის წარმომადგენელი) ამბობს, რომ ამ ომში გლეხებმა უდიდესი მსხვერპლი გაიღეს და მიდებით კი არაფერი მიუღიათ. ეს კითხვები ძლიერ აღელვებს გლეხობას. იგინი ამბობენ, უკეთუ ამას არ გააკეთებენ გლეხებისთვის. ჩვენ მანამდე არ გავუშვებთ ხელს ვინტოვკებს, სანამ მიწებს არ დაგვიყოფთ. (ტაში).

ოვჩინიკოვი, სოროკინი და არხანგელსკი მომხრე არიან შესდგეს კოალიციური მთავრობა.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები.

(პ. დ. ს.)

21 სექტემბერი.

შრომის ბირჟას შესახებ თათბირი.

პეტროგრადი. შრომის სამინისტროსთან დასრულდა შრომის ბირჟების გამგეთა თათბირი. თათბირმა შეიმუშავა შრომის ბირჟების ფართე ორგანიზაციის გეგმა.

კოალიციური მთავრობა.

პეტროგრადი. დემოკრატიის თათბირმა 766 ხმით წინააღმდეგ 688 ხმისა გადასწყვიტა შესდგეს კოალიციური მთავრობა. კენჭისყრა გაგრძელდა 4 საათი. დეპუტატთა საბჭოებმა ხმა მისცა 83, წინააღმდეგ 192, თავი შეიკავა 4; გლეხთა დეპუტატები—102—70; თავი შეიკავა 12; ქალაქის თვითმართველობებმა—114—101, თავი შეიკავა 8; ერობათა და გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტების წარმომადგენლებმა—98—23, თავი შეიკავა—2; ეკონომიური და სასურსათო ორგანიზაციები—84—15, თავი შეიკავა 4; პროფესიონალური და მუშათა კავშირები—132—139, თავი შეიკავა 2; კოოპერატივები—140—23, თავი შეიკავა 1; სამხედრო ორგანიზაციები—54—55, თავი შეიკავა—7; ნაციონალური ორგანიზაციები—15—40; სხვა ორგანიზაციები—84—30. კენჭის ყრის შედეგს ტაშისცემით შეხვდნენ, მოისმის ხმები: „სირცხვილი“. კრება ნახევარი საათით სწყდება.

ომის დეპეშები.

(პ. დ. ს.)

ლონდონი. ბრიტანიის მთავარ ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. სექტემბერში ტყვეთ წამოვიყვანეთ 5206 კაცი, მათ რიცხვში 140 აფიცერი, დავლად ჩავიგდეთ 11 ზარბაზანი, მათ რიცხვში 3 დიდი, 57 თხრილების მარტირა და 307 ტყვიის მფრქვეველი.

რუმინიის ფრონტიდან იტყობინებიან, რომ მოწინააღმდეგე სისტემატიურად ემზადება ფოკშანის მიმართულებით თავდასხმისთვის.

სევასტოპოლი. ჩვენმა გემებმა ბულგარეთის წყლებში დაღუპეს ორი იალქნიანი გემი.

მესოპოტამია. ოფიციალური ცნობა 16 სექტემბერს, ჩვენმა ჯარმა ალყა შემოარტყა მტერს და ხელში ჩაიგდო. ტყვეთ წამოიყვანეს რამდენიმე ათასი კაცი, მათ რიცხვში ჯარის უფროსი ახმედ ბეი, მთელი შტაბით.

უკანასკნელი ფოსტა·

თუ ტფილისში მოსული გუშინდელი ცნობა სიმართლე გამოდგა, ოსმალეთში დიდი ამბები ხდება, იქაც რევოლიუცია დაწყებულა. მოუკლავთ ენვერ-ფაშა და თალაათბეი სულთანი მაჰმედ მეხუთე. „უეცრად გარდაცვლილა" და სხვა. ერთი სიტყვით, მოხდენილა სახელმწიფო გადატრიალება. თუ რა ხასიათისაა ის, ამას ახლო ხანში გავიგებთ.

— გადაწყვეტილია ქალაქ რეველის ევაკუაცია. შრომის სამინისტრო უკვე შეუდგა ზრუნვას იმ მუშებისათვის სამუშაოს საშოვნელათ რომელთაც ქარხნების დახურვით უმუშევრად დარჩენა მოელით.

— პეტროგრადში 20 კაცი დააპატიმრეს, რომელთაც საიდუმლო ჯაშუშობაში სდებენ ბრალს. როგორც ირკვევა ისინი 3 თვეა რაც პეტროგრადში მოღვაწეობენ. შედიოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, წინადადებებს აძლევდნენ იაფ ფასებში ჩაგაბარებთ საჭირო მასალებსო და სხვ. ამით ისინი ეცნობოდნენ საზოგადო საქმის ვითარებას და რაც რუსეთს აკლია ამ ჟამად, ამის შესახებ ცნობებს აგზავნიდენ გერმანიაში. მათ წერილებს უპირდა კონტრ-მზვერავთა შტაბი. დაპატიმრებულნი რუსულად თავისუფლად ლაპარაკობენ. არ არის გამორკვეული, რომელი ეროვნებისა არიან. ფიქრობენ, შვედები ან ფინები არიანო.

— ვინაიდან რკინის გზის მოსამსახურეთა მოთხოვნანი დაკმაყოფილებული არ იქნა,— სამ რკინის გზაზე შესდგა კომიტეტები. თუ ჯამაგირების მომატების დეკრეტი არ გამოსცა მთავრობამ, მოსამსახურენი გაფიცვას აპირებენ. რკინის გზის მოსამსახურეთა ცეხი ამ ჟამად გაფიცვის წინააღმდეგია.

საოლქო ყრილობა

ამიერ კავკასიის ორგანიზაციების რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიისა

ამხანაგებო! საგანგებო ყრილობა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა რ. ს. დ. მ. პ. დანიშნულია 30 სექტემბერს ამა წლისა ქ. ტფილისში. ყრილობა გაიხსნება სახალხო სახლში დღის 12 საათზე. გასარჩევი კითხვებია:

1) მიმდინარე მომენტი,
2) დამფუძნებელი კრების არჩევნები: ა) საარჩევნო პლატფორმა, ბ) დეპუტატ კანდიდატების დასახელება,
3) საოლქო კომიტეტის და საკანტრ. კომ. წევრთა დამატებითი არჩევნები.

ყრილობაზე თანახმად პარტიულ წესდებისა მე 12 მუხლისა ყოველ 400 წევრზე უნდა გამოიგზავნოს თითო წარმომადგენელი. წვრილი ორგანიზაციები ერთდებიან და საერთოთ არჩევენ 400 წევრზე ერთ დელეგატს. მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომლითაც კომიტეტები ხელმძღვანელობენ, უფლება აქვთ თითო დელეგატის გამოგზავნისა, თუნდაც 400 ზე ნაკლები წევრი ჰყავდეთ.

ამხანაგებო! ემზადეთ ყრილობისათვის. წინასწარ გაარჩიეთ და გაარკვიეთ ფართე პარტიულ წრეებში ყრილობაზე გასარჩევი კითხვები, გამოიტანეთ შესაფერი რეზოლიუციები.

ახალი ამბები

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი აცნობებს მცხოვრებთ, რომ სანოვაგისა და პირველ საჭიროების საგნების რაოდენობის გამოსარკვევად და მომხმარებელთა შორის სამართლიანად განაწილებისათვის იგი ამ დღეებში ახდენს ზოგიერთ საგნების აღწერას (ფართლეულობის, ფეხსაცმელების, ტყავეულობის და სხვ.). თუ სპეკულიაცია აღმოჩნდეს, ამ საგნებს ჩამოართმევენ კერძო პირებს და დამნაშავეებს პასუხის გებაში მისცემენ. საგნების გამოაშკარავება მოითხოვს დროებით მაღაზიებისა და საწყობების დაკეტვას, რაც, რა თქმა უნდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს მცხოვრებლებს. კომიტეტი მოაგონებს მცხოვრებთ, რომ ეს ზომები მიღებულია მხოლოდ და მხოლოდ საჭირო საგნებით მათი უზრუნველსაყოფად და სთხოვს მათ დაიცვან სრული სიმშვიდე.

◆ **ჩხრეკა.** 20 სექტემბერს მ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით მომხდარ ჩხრეკის დროს ჩადენილ უწესოებით აღელვებული ხალხი, 1,000 მდე კაცი, მივიდა ქალაქის თვითმმართველობის შენობას. ხალხი პროტესტს აცხადებდა მჩხრეკავთა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვდა საქმის ახსნა-განმარტებას. საქმე იმაშია, რომ ჩხრეკავები ხშირათ იტაცებდნენ თურმე კერძო ნივთებს, ტანისამოსს, ოჯახისთვის დამზადებულ სანოვაგეს, ჩაი-შაქარს, ყველს, ოქრო-ვერცხლს და სხვ. ქალაქის თავმა სიტყვით მიმართა აღელვებულ ხალხს და დაამშვიდა იგი. ავლაბარში რამდენიმე პირი, ჯარისკაცების ფორმაში გამოწყობილი, ახდენდნენ ჩხრეკას და იტაცებდნენ სხვადასხვა ნივთებს. ეს გარემოება აცნობეს კომისარიატს, შეიტყვეს აგრეთვე ჯარისკაცებმა, რომლებმაც დაიჭირეს ორი მჩხრეკავთაგანი და იქვე მოჰკლეს. ერთს მძიმე სცემეს, ხოლო დანარჩენი ორი ციხეში მოათავსეს. დაჭერილია ერთი მილიციონერი. გამოირკვა, რომ მჩხრეკავები დეზერტირები ყოფილან, რომლებმაც ისარგებლეს შემთხვევით და მიყვეს ხელი მცხოვრებთა ძარცვას.

◆ **საარჩევნო ფონდი.** შემოვიდა რ. ს.-დ. მ. პ. ჭიათურის კომიტეტისაგან ამიერ კავკ. საოლქო კომიტეტის კასაში დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ 1500 მ. ნ.

◆ **წარმოდგენა.** დღეს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ"-ში ქართველ სცენის მოყვარეთა მიერ ივანიძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „სიძე-სიმამრი". ბილეთების ფასი 3 მ. 50 კ.—25 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათ.

◆ **შეწირულება.** კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა საკუთარ ბეჭდითი ორგანოს სასარგებლოთ მიიღო მენთეშაშვილისაგან თიანეთის მაზრის მცხოვრებთა შორის შეგროვილი 46 მან.

— იოსებ ხუბაშვილი გვთხოვს გამოვაცხადოთ ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხნის მუშათა საყურადღებოთ, რომ მათ შორის შეგროვილი თანხა 367 მ. 33 კ. უკვე გადაეცა დანიშნულებისამებრ.

◆ საქართველოს საეკლესიო კრების დელეგატი, კიწნის საზოგადოებისა, მიხა გელენიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იგი საეკლესიო კრებაზე მხარს უჭერდა და ხელიც აქვს მოწერილი მხოლოდ მშრომელი ხალხის სასარგებლო დადგენილებაზედ. ამანვე შემოსწირა ჩვენი გაზეთის სასარგებლოთ სამი მანეთი.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს სახალხო სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ნიშნისათვის". ადგილების ფასი 1 მ. 20 კ. 20 კ.—მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრებანი და მიტინგები

— ხვალ, საღამოს 7 ს., სახალხო სახლში დანიშნულია მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) მუშათა მილიციის მოწყობა და მისი შეიარაღება; 2) შრომის სამინისტროს კომისრის დანიშვნა; 3) მუშების მიღება-დათხოვნის უფლება სკობელევის განკარგულების გამო; 4) პროვიზიუმის მოხსენება; 5) შემოიგებული კაზერა; 6) აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა არჩევნები; 7) ქალაქის სასურსათო კომიტეტის წევრთა არჩევნები, 8) მიმდინარე საქმეები.

— ხვალ, საღამოს 5 ს., ავჭალის აუდიტორიაში დანიშნულია პოლონელთა ს.—დემ. ორგანიზაციის წევრთა და თანამგრძნობთა კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ქ. ოზურგეთი. 24 სექტემბერს, ს. ჭილას ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გაიმართება სახალხო სეირნობა. სეირნობა დაიწყება შუადღის 2 საათიდან. საღამოს გაიმართება წარმოდგენა ოზურგეთის სცენის მოყვარეთა მიერ ბ-ნ გერ. გოგიტიძის ხელმძღვანელობით. დასადგამენ ცნობილ დრამას „ცამბირელი". წარმოდგენის შემდეგ გაიმართება საერთო ცეკვა-თამაში. შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივ სამკითხველოს, ნაწილი გადაეცემა დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდს.

— ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ დიმ. ერისთავმა განცხადება შეიტანა საბჭოში, რომ ის თავს ანებებს როგორც საბჭოს თავმჯდომარეობას, ისე ხმოსნობასაც, რადგან ამ ბოლო დროს ის „ძლიერ დაავადმყოფდა და არ შეუძლია ეს მოვალეობანი ისე შეასრულოს, როგორც ამას მოქალაქობრივი თვითშეგნების გრძნობა და სინიდისი უკარნახებს". ერისთავის განცხადებამ როგორც ხმოსნებში, ისე გარეშე საზოგადოებაში მწუხარება გამოიწვია. ერთხმად აღნიშნავენ ბ-ნ ერისთავის დიდ გამოცდილებას, უანგარობასა და საზოგადო საქმისადმი სიყვარულს.

— კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე დასასწრებლად საბჭომ აირჩია ანტ. მიხ. საბაშვილი.

ტფილისის მცხოვრებთ!

უკანასკნელ დღეებში განზრახ გადამალულ პირველ საჭიროების საგნებისა და სურსათის აღმოსაჩენად მოხდა ჩხრეკა-დაპატიმრება. მიღებულ ზომების საშვალებით აღმოჩენილ იქნა დიდძალი გადამალული საქონელი. ამით ისარგებლეს ზოგიერთებმა და თავის ნებით მოახდინეს ჩხრეკა, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში. როგორც გამოირკვა, ეს პირები იტაცებდნენ თურმე ძვირფას ნივთებს და ოჯახში მოსახმარათ დამზადებულ პირველ საჭიროების სანოვაგეს. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, ქალაქის გამგეობა, ქალაქის სასურსათო კომიტეტი ამით აცხადებენ, რომ არავის არა აქვს ნება გაჩხრიკოს კერძო ბინები, თუ უფლება-მოსილ დაწესებულებათაგან არ მიეღოს ამის ნებართვა. ყოველი პირი, ვინც ახდენს ჩხრეკას, ვალდებულია წარადგინოს მოწმობა, რომ მას აქვს უფლება გაჩხრიკოს ესა თუ ის ბინა, მოახდინოს ჩხრეკა ამა თუ იმ რაიონში. ვისაც შესაფერი ნებართვა არ აქვს და ისე მოახდენს ჩხრეკას, ის დაპატიმრებულ უნდა იქნეს და პასუხისგებაში მიცემული.

მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.
ქალაქის გამგეობა.
საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

მუშების მიღება-დათხოვნა·

ვინაიდან შრომის სამინისტროს განკარგულება მუშების მიღება-დათხოვნის საქმეში ცხოვრებაში გატარების დროს, მეპატრონეთა მიერ, უხერხულებას ჰქმნის ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან არსებულმა მუშათა სექციამ შემდეგის განმარტებით მიმართა მუშებს:

მუშათა სექციის აზრით მეწარმეებლები ცდილობენ ისარგებლონ შრომის მინისტრის უკანასკნელი განკარგულებით იმ აზრით, რომ მუშების მიღება დათხოვნის ცხოვრებაში გატარების დროს შეჰკვეცონ და არარათ აქციონ მუშათა ის გავლენა, რომელიც მათ ბრძოლით მოიპოვეს მიღება-დათხოვნის საქმეში. მუშათა ინტერესების დასაცავათ სექციამ დაადგინა შემდეგი დებულებების განხორციელება:

1. მუშა მოსამსახურის მიღება წარმოების პატრონის საქმეა, მაგრამ მიღება უნდა ხდებოდეს პროფესიონალურ კავშირების ან საქარხნო კომიტეტების საშუალებით. მუშათა მიღების დაწვრილებითი წესს იმუშავებენ პროფესიონალური კავშირები ან საქარხნო კომიტეტები.

2. მუშის ადგილიდან დათხოვნის თითოეული შემთხვევა წარმოების პატრონმა უნდა აუწყოს პროფესიონალურ კავშირს ან საქარხნო კომიტეტს. თუ ეს უკანასკნელნი ამისი წინააღმდეგნი არიან, საქმე გადასაწყვეტათ გადაეცემა მომრიგებელ კამერას განსაზღვრულ დროის განმავლობაში.

3. მუშათა მასიური დათხოვნის დროს, თუ ეს გამოწვეულია წარმოების შემცირებით, მუშებს უფლება ეძლევათ შეამცირონ საათობით მუშაობა ისე, რომ შესაძლებელი დარჩეს ყველა მუშების თავ-თავიანთ ადგილებზე დარჩენა.

სთხოვთ მუშათა ორგანიზაციებს გაარჩიონ ეს დებულებანი და თავიანთი აზრი წარმოადგინონ მუშათა სექციაში, როგორც მასალა ზემო ნათქვამი საკითხის დასამუშავებლათ მუშათა სექციის პლენარულ კრებაზე, რომელიც მოხდება შაბათს, 23 სექტემბერს, საღ. 7 საათზე, სახალხო სახლში.

ამასთანავე საჭიროა დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ დაწვრილებით ცნობები მუშათა ადგილებიდან ყოველგვარი დათხოვნის შესახებ.

ჩვეულებრივი კინკლაობა·

სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტური და შოვინისტური პარტიების სამეფო შინძრა... პროტესტი პროტესტზე გამოაქვთ და ქვეყანას ამცნეს, რომ უზურპაციას ახდენენ, ქვეყანა იღუპება და საჭიროა ხმა აღვიმაღლოთო.

რაშია საქმე, რა მოხდა?

ჩვენ ვიცით, რომ უკანასკნელი კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების დროს ტფილისში შესდგა დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც ფაქტიურად დაიპყრა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის ადგილი და მთელი ძალა-უფლება ხელში აიღო, რათა უზრუნველყო რევოლიუციის კეთილ-დღეობა ამიერ კავკასიაში. რადგანაც ამ კომიტეტს ადგენდნენ თურმე, არა ახელმძღვანელეს ეროვნული პრინციპით და პროპორციონალურათ ადგილი არ დაუთმეს ფედერალისტ-დაშნაკელებს, აი რაშია თურმე მთელი უბედურება.

როგორც დეპეშები გვაუწყებენ, დაშნაკელები ფრიად აუღელვებია ამ გარემოებას და აღარ იციან როგორ გამოსთქვან თავიანთი გულის წყრომა. ამ „ინტერნაციონალური" პარტიის ალექსანდროპოლის კომიტეტი იქამდინაც მისულა, რომ დიდის რიხით აცხადებს: „ჩვენ აღშფოთებულნი ვართ, რომ აღნიშნულ კომიტეტში არა გვყავს წარმომადგენელი რევოლიუციის კეთილ-დღეობის უზრუნველსაყოფად ეს აუცილებელია და ჩვენც მოვითხოვთ წარმომადგენლებსო".

ჩვენი ფედერალისტებიც არ ჩამორჩენ სხვებს და მზათ არიან, მოახდინონ ისეთივე აურზაური, როგორც ამიერ კავკას. საგანგებო კომიტეტში კიტა აბაშიძის დანიშვნაზე ასტეხეს.

ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუციის პირველ დღეებში დროებით მთავრობის განკარგულებით დაინიშნა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი. პირველათ ამ კომიტეტის წევრები სხვადასხვა ეროვნებათა შოვინისტური მიმართულების გამომხატველთაგან შესდგებოდა, აკლდა მხოლოდ ქართველი და დიდი აურზაურის შემდეგ ამ ერის წარმომადგენელი, ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილი პიროვნებაც შევიდა შიგ კიტა აბაშიძის სახით. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ეს კომიტეტი თავის შემადგენლობით (აქ ჩხენკელის გამოკლებით) ბუდე შეიქნა ეროვნული ღვარძლის თესვის და შურიანობისა და თუ საბედნიეროთ, მიზანს ვერ აღწევდნენ, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ ამიერ-კავკასიაში გამეფებულია ისეთი ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტური პარტია, როგორიც არის სოციალ-დემოკრატია.

აბა გადაათვალიერეთ ამ ექვსი თვის განმავლობაში რა გააკეთა ამ საგანგებო კომიტეტმა,—სრულიად არაფერი. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთთან შედარებით ჩვენში უფრო მეტი გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში რევოლიუციის გაღრმავების საქმეში, არ ეგონოს ვინმე გულ-უბრყვილოს, რომ ეს გარემოება აღნიშნული საგანგებო კომიტეტის ენერგიული მუშაობის წყალობა იყოს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენში რევოლიუციის საქმეს სათავეში უდგენ რევოლიუციონური საბჭოები და სხვადასხვა დემოკრატიული და პოლიტიკური ორგანიზაციები და საგანგებო კომიტეტი კი ამ ორგანიზაციებს მისჩანჩალებდა ძალაუნებურათ. რევოლიუციის სადავე-კი დემოკრატიის ერთგულ და ნაწრთობ მებრძოლთ ეპყრათ ხელში...

კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური განზრახვის აღმოჩენისთანავე დაუყონებლივ შესდგა დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი სხვადასხვა პოლიტიკური და დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, რომელსაც დაევალა კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა. ყველამ ვიცით, თუ რა ენერგია გამოიჩინა ამ კომიტეტმა და როგორი პირნათლად შესძლო დაკისრებული მძიმე საქმის შესრულება. ფიცხელი ზომები იქნა მიღებული და მთელი მხარე, როგორც ფრონტზე, ისე შიგნითაც რევოლიუციის ერთგულ დარაჯთა გავლენის ქვეშ აღმოჩნდა,

რა თქმა უნდა, ამით საგანგებო კომიტეტი თავის შოვინისტურ-კადეტურ სულისკვეთებით ფაქტიურად გაქარწყლებული იქნა. სწორედ დროებით რევოლიუციონური კომიტეტის სალი თვალსაზრისით შედგენის წყალობით მოხდა, რომ ჩვენში ადგილი არ ჰქონებია არავითარ ექსცესებს და კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს.

ისეთ კრიტიკულ მომენტში, როგორშიაც წარმოიშვა დროებ. რევოლიუციონური კომიტეტი, გაუხსენით სარბიელი შოვინისტებს და დღევანდელი მდგომარეობის ნაცვლათ ნახავთ, რომ მთელი მხარე ეროვნულ შუღლის მოედნათ გარდაიქცევა. ამის მაგალითები ბევრი გვახსოვს ჩვენში. მაგრამ ყველაზე უფრო სასაცილო და თან საკვირველი ის არის, რომ ეს ვაჟ-ბატონები იმას არას დროს არ იკითხავენ, თუ რას აკეთებს ესა თუ ის ორგანიზაცია, აღწევს თუ არა თავის დანიშნულებას შეესაბამება მომენტს მათი მოქმედება, თუ არა. იმათ ეს არ აინტერესებთ. შესდგება თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ორგანიზაცია, ისინი მაშინვე ეროვნებათა მიხედვით წარმომადგენლობაზე მოყვებიან ყვირილს.

დროა არის შეიგნონ ამ ვაჟ-ბატონებმა, რომ ცხოვრების წინსვლელობა თანდათანობით შლის მათ არსებობის ნიადაგს; დემოკრატიამ კარგა ხანია ზურგი შეაქცია მათ და არავითარ მნიშვნელოვან დაწესებულებაში თუ ორგანიზაციაში აღარ საჭიროებს მათ არამკითხე აპეკუნობას. მთელ ამიერ კავკასიაში საქალაქო არჩევნები ნათლად მოწმობენ ამას და დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს დემოკრატია კიდევ უფრო მკაცრათ აგრძნობინებს ჩვენებურ შოვინისტებს მათ დონკიხოტობას.

ვიქტორ ნინიძე.

ჭიათურის არჩევნები

მიმდინარე თვე, სექტემბერი, ჭიათურაში არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. ამ თვეში, პირველათ თავის არსებობაში, ჭიათურამ განიცადა საარჩევნო სამზადისი, საარჩევნო ბრძოლა.

დაბა ჭიათურა დიდი ხანია გრძნობდა თვითმართველობის საჭიროებას და საკმაო საცადს ეწეოდა ის ამის მოსაპოვებლათ, მაგრამ ძველმა რეჟიმმა არ გახადა ამის ღირსად ჭიათურა.

სხვა ყველა საჭირო სამუშაოებისა და გეგმების წარდგენის შემდეგ ჭიათურას მოსთხოვეს საბალახო ადგილის გეგმა საბუთები.

ჭიათურის მთებზე, მარტო შავი ქვა არის. სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად რევოლიუციამ ერთი კალმის მოსმით დაბა ჭიათურა ქალაქად აქცია. ქალაქი ჭიათურაც შეუდგა თავის უფლების განხორციელებას.

წინასწარ სამზადისს, საარჩევნო სიის შედგენის და სხვათა შემდეგ, აღმასრულებელმა კომიტეტმა აგვისტოს გასულს ამცნო ჭიათურის მცხოვრებთ, რომ საქალაქო არჩევნები დანიშნულია 17 სექტემბრისათვის, პარტიები ამაზე ადრე შეუდგენ სამზადისს. გაცილებით ადრე დაიწყეს ჩუმი მუშაობა ნიადაგის მოსამზადებლათ. ყველა პარტიებმა გააჩაღეს ასეთი მუშაობა, გაახშირეს შინაური კრებები და სხ.

არ ჩანდა ამ მხრით მხოლოდ მუშათა პარტია, სოც.-დემოკრატია.

ჭიათურის ს.-დ. მუშაკებიც ისე, როგორც ყველგან, დატვირთული არიან საზოგადოებრივ სამუშაოებით და პარტიული მუშაობისთვის საზოგადოთ ძალიან ცოტა დრო რჩებათ. კიდევ მეტი: ხშირად ეს საკუთარი სამუშაო სრულიად მივიწყებულ-მიტოვებულია. ასე დაემართა პირველ კვირეებში საარჩევნო მუშაობასაც. ამით ისარგებლეს ნაციონალისტურმა პარტიებმა და არამც თუ თავის პროგრამა-პლატფორმის ქებაში მოქმედებდნენ შეუზღუდველად, არამედ—იერიში მიიტანეს ჩვენს პროგრამაზე, ჩვენს მიმართულებაზე. ფედერალისტების შემდეგ ამ მხრით მოლაშქრისაც კი გადააჭარბა „ეროვნულ დემოკრატიულმა" პარტიამ. ამ ვაჟბატონებმა ჩვენი ქუჩაში გამოსვლის დაგვიანება ჩვენი დამარცხებით ახსნეს და პირდაპირ ფრთები შეისხეს. ისინი აღარ დაიჯერდნენ ვიწრო შინაურ კრებებზე ჩვენ ლანძღვა-გინებას, მოედვნენ ხალხს და ავრცელებდნენ ჩვენზე ჭორებს, გვასმენდნენ ხალხთან.

მართალია, ასეთი ჭორებით ხალხის მეტი ნაწილი უფრო თავის წინააღმდეგ ამხედრეს, მაგრამ მაინც ბევრი დააჯერეს, თავი მხნელად მოაჩვენეს და თავის დუქნებში შეიტყუეს.

მთავარი იარაღი ლანძღვისა ისევ და ისევ ყბად აღებული პროლეტარიზაცია იყო, რაც [illegible], ისე კი არ გამოაქვეყნეს, როგორც თეორიული დავა ორ მიმართულებათა შორის, არამედ ისე, რომ თითქოს სოც.-დემოკრატებს მიზნად დაუსახავთ ქართველი ხალხის გაღატაკება და [illegible] თავიანთ ძალღონეს ამას ანდომებენ, ყოველგვარ „მახინჯებს" აწყობენ მისთვის, რომ ხალხმა ყოველგვარი [illegible] თან სდევდა მეორე — ცილისწამება — სამშობლოს გამყიდობა.

და დაძვრებოდენ ჩვენი „ეროვნულები", როგორც მათ აქეთ უწოდებენ, კარიდან კარზე, დუქნიდან დუქანში, სახელოსნოდან სახელოსნოში და ყველას ამ ცილისწამებით აბრუებდენ. მათ ზურგს უმაგრებდენ მათი ტყუპი ფედერალისტები. შეიქნა განგაში.

ნაციონალისტები თანდათან გათამამდნენ, და ბოლოს დარწმუნდნენ კიდევაც თავიანთ სიძლიერეში, დაიჯერეს, რომ სოციალდემოკრატები ველარ ჩნდებიან; დაიჯერეს, რომ ბურთი და მოედანი მათ დარჩათ: ბოლოს დაიჯერეს, რომ არჩევნებში უსათუოთ ისინი გაიმარჯვებენ და... შეექმნათ ცილობა, თუ ვინ აირჩიონ ქალაქის თავად, ვინ გამგეობის წევრათ, ვინ მდივნათ, ვის რამდენი ჯამაგირი დაუნიშნონ და სხვადასხვა.

ამ ყოყოჩობამდე ისინი გაათამამა კიდევ იმ მოვლენამაც, რომ დარდანელის დაკეტვის გამო ჭიათურაში წარმოება მინიმუმამდე შემცირებულია, მუშების 90 პროცენტი წასულ-წამოსულია და ასე, სოც. დემოკრატების ლაშქარი დაფანტულია.

და ზეიმობდენ წინდაწინ ჩვენს „ეროვნულებთან" ერთად ჩვენი ფედერალისტებიც.

ასამარებდენ ისინი წინდაწინ მუშათა პარტიას. ზოგს მათგან ეცოდებოდათ კიდეც. მაგრამ „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო", უთქვამს ქართველს...

არჩევნები მოახლოვდა და მუშათა პარტიაც გამოვიდა ბრძოლის ველზე, გამოვიდა საარჩევნო ბრძოლის ველზე და არა კაბინეტიდან, არამედ საერთო პოლიტიკურ ბრძოლის ველიდან. მან დროებით მოიცადა, დროებით აუცილებელი რიცხვი დარაჯებისა დასტოვა პოლიტიკურ ბრძოლის ველზე და უმთავრესი ძალებით საარჩევნო ბრძოლის მოედანზე გადავიდა. გაიჭრა და შეჰყვირა ამირანისებურათ; შეჰყვირა და შეაკრთო არე, პირველი ყიჟინითვე დააფრთხო მინდორზე წინათ გათამამებული მტერი. ბრძოლა გაჩაღდა.

სოც. დემოკრატიამ პლაკატებით ამცნო მცხოვრებთ საარჩევნო დღის მოახლოვება, ამცნო, რომ მისი ნუმერი აქაც პირველი ციფრია. დაარიგა ხალხში საარჩევნო პლატფორმა და განცხადებებით ამცნო, რომ მთელ რიგ კრებებზე ის ვრცელ მოხსენებებში განმარტავს თავის მიზანს. ამავე განცხადებებში ის იწვევდა კრებებზე საბრძოლველათ, იწვევდა კამათში ყველა პარტიებს.

პარტიულ-ორგანიზაციულ კრებების შემდეგ პირველი საჯარო კრება გაიმართა კვირას, 3 სექტემბერს ლეჟავების უბანში, სადაც ავდრის გამო კამათი აღარ გამართულა და სადაც კრების გაგრძელება მოხდა 8 სექტემბერს. აქ პირველად წარსდგენ პირისპირ პარტიები, სადაც ნაც.-დემოკრატები არ ჩანდენ. ისინი სადღაც მიიმალენ და თავის მაგიერ გამოუშვეს თავისი დეკლარაცია, სახმოსნო სიისათვის რომ წაემძღვარებინათ. გამოვიდნენ ადგილობრივი ფედერალისტები და ადგილობრივი ესერები. ეს უკანასკნელები ჩვენ საარჩევნო პლატფორმას სავსებით იზიარებდნენ და ფედერალისტების დემაგოგიას ებრძოდენ, განსაკუთრებით იმას, რომ ფედერალისტები ტყუილა ეფარებიან მათ, რომ მათ ფედერალისტები დიდი ხანია აღიარეს ანტი-სოციალისტურ პარტიათ და მათთან არაფერი საერთო არა აქვთ.

ფედერალისტებმა მოსთხოვეს მათ ფაქტები არასოციალისტობის დასამტკიცებლათ და ესერმა ჩამოთვალა და უხვათ დაუწყო წინ მათი ნამოქმედარი.

ამის შემდეგ ფედერალისტებმა თავი ანებეს ესერების ამოჩყარებას და მათაც ისევე დაუპირდაპირდენ, როგორც ჩვენ.

სოც.-დემოკრატებმა პირველ კრებაზედვე მიანგრ-მოანგრიეს როგორც ფედერალისტების „საბუთები", აგრეთვე ნაც.-დემოკრატების „დეკლარაცია".

შაბათს 9 სექტემბერს ჩვენი ორგანიზაცია გამოვიდა ადგილობრივ ელექტრო თეატრში კიდევ უფრო ფართო, ვრცელი მოხსენებით. ოპონენტებათ აქაც ისევე ადგილობრივი ფედერალისტები გამოვიდნენ, ნაციონალ-დემოკრატებმა აქაც ისევ „დეკლარაცია" შემოგვიტოვეს ხელში. კამათი დასრულდა ჩვენი სრული გამარჯვებით, ხალხით გაჭედილ თეატრის მიერ ოვაციის გამართვით. ასეთივე კრება ამავე პროგრამით უნდა განმეორებულიყო დრ. სახ. თეატრში მეორე დღეს, მაგრამ მოხსენებას მოყვა მხოლოდ განმარტებები და დამატებითი სიტყვები, ვინაიდან მოწინააღმდეგეთან გამოსვლა ველარც ადგილობრივმა ფედერალისტებმა გაბედეს. ამავე კრებაზე ხმები გავრცელდა, რომ ფედერალისტებმა და ნაც.-დემოკრატებმა დეპეშები აფრინეს ქუთაისში და ტფილისში—„გენერლების" გამოსაწვევათ.

ამ ხმების გამო ჩვენმა ორატორებმა კომიტეტის სახელით განაცხადეს სურვილი, რომ მოწინააღმდეგეთ დაენიშნოს კრებები კამათით, სადაც სიამოვნებით გამოვალთო.

ასეც მოხდა. ნაციონალისტთა „[illegible] ფრონტის" გასამაგრებლათ დაიძრა სხვადასხვა რანგის „ოფიცრები" საქართველოს ორივე დედა-ქალაქებიდან.

პირველი გასტროლი მისცა კ. ჯამსახურიძემ, გამართა ფედერალისტების სახელით სამშაბათს, 12 სექტემბერს. მან თავისი მოხსენებაში საარჩევნო საგანს თითქოს გვერდი

მუარა, მუნიციპალიტეტი დაიწყო და მოხსენების თემით „ეროვნული კითხვა და რევოლუცია“ ბოლო. დაიწყო იმით, რომ რუსეთის რევოლუცია მოულოდნელ მოვლენათ გამოაცხადა, საერთაშორისო ომი შაბლონიურათ ეროვნულ კვანძის შედეგათ მონათლა, ხოლო კოსმოპოლიტი საცოდავ გამოგონებათ, რაც თურმე ქრისტეს მოუგონია იმ საგნის, რომ ებრაელთა დევნა შეეჩერებინა, რომ ამ საკენკით ებრაელთა მიმართ სიძულვილი მოესპო. მარქსმაც თურმე მიტომ დაუჭირა მხარი ამ მიმართულებას, რომ ჩამომავლობით ებრაელი იყო და მის დროს ებრაელებს ნაციონალური იდეალი მაინც არ ჰქონდათ. ე. ი. მარქსი ისე მოიქცა, როგორც გოგებაშვილის კუდ მოწყვეტილი მელა. გარდა ასეთ აბდაუბდისა გაუტოლიტიკოსმა მოხსენებამ შეეხო სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ გაუთავებელი დემაგოგიით, გადაწვდა ესერებსაც და ბოლოს იმით გათავა, რომ მესამე ნომერს მიეცით ხმაო. მაგრამ მან ყველაფერზე საკადრისი პასუხი მიიღო, როგორც სოციალ-დემოკრატ ორატორების მიერ, აგრეთვე ერთი ესერისაგან.

(დასასრული ხვალ).

ვერცხლის წყალი.

საქართველოს საეკლესიო კრება.

საქართველოს საეკლესიო კრება დაიწყო თფილისში რვა სექტემბერს და დასრულდა ამავე თვის ჩვიდმეტს. კრების საგანი იყო საქართველოს სარწმუნოებრივ თავისუფლების—ავტოკეფალიის ახალ პირობებში გატარება და პატრიარქ კათალიკოსის არჩევა.

ამ საქმისთვის კრებაზე გამოცხადდა ხუთასზე მეტი დელეგატები: ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, ბერები, მონაზვნები, მღვდლები დიაკვნები და ერის კაცნიც.

რადგან სხვა პარტიები საქმეში არ ჩაერეულიყვნენ, მთელ ამ არმიას დაპატრონებოდენ და კრებაზე წინ მიუძღოდენ კლერიკალები და ჩვენი ნაციონალ-დემოკრატების მარჯვენა ფრთის წარმომადგენელნი.

კრება არაფერი იყო მოსალოდნელი, და მართლაც მალე გამოირკვა, რომ ამათი პროგრამით კრებას უნდა აღედგინა და დაემტკიცებია ძველი დახავსებული საეკლესიო წესები. მშრომელი ხალხის წარმომადგენელნი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდენ, უნდოდათ დელეგატობაზე უარი განეცხადებინათ და ხალხში დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ისევ დარჩენა გადასწყვიტეს, რათა შეძლების დაგვარათ კრებაზე ხალხის ინტერესები დაეცვათ. ამ მიზნით ერისკაცთა უფრო შეგნებულმა ნაწილმა მსჯელობა იქონია და კრებას წარუდგინა შემდეგი დადგენილება: ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი, საქართველოს საეკლესიო კრების წევრნი—ერისკაცნი, თანახმად ჩვენი და ჩვენის ამომრჩეველთა რწმენისა, მომხრენი ვართ ეკლესიის სახელმწიფოდგან გამოყოფისა. მოვითხოვთ და განვაცხადებთ რომ ჩვენი სურვილია კრებამ თავისი მუშაობით ნიადაგი განამზადოს ამ დასახელებულ აქტის განხორციელებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ კრებას საქართველოს სარწმუნოებრივ თავისუფლების, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტოკეფალიის განმტკიცებაში, მის დემოკრატიულ ფორმებით ჩამოყალიბებაში და აქვე განვაცხადებთ, რომ სწავლა-მოძღვრებითი, ღვთის-მსახურებითი და მართვა-გამგეობითი მხარეები ავტოკეფალიისა მივანდოთ მხოლოდ მორწმუნეთა კერძო საქმეთ. ყოველივე ხარჯი, გამოწვეული ავტოკეფალიით: საკათალიკოსო, საეპისკოპოსო, სამღვდელო და სხვა, უნდა გაიღონ მორწმუნეთა წრეებმა და მრევლის სახაზინო დახმარებას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დასასრულ კვლავ ვაცხადებთ, რომ კრების დადგენილებათა მშრომელ ხალხში გავრცელების დროს ჩვენ ვიხელმძღვანელებთ სინდისის თავისუფლების და ეკლესიის სახელმწიფოდან განყოფის პრინციპით.

ამ დადგენილებას კრების პრეზიდიუმი ძალიან მტრულის თვალსაზრისით შეხვდა და არამც თუ განიხილა იგი, არამედ—არც კი გამოუქვეყნებია რომელიმე მორიგ სხდომაზე.

ამავე თვალსაზრისით მოეპყრო პრეზიდიუმი ერისკაცთა მეორე დადგენილებას, რომელიც მოგვყავს სიტყვებით: „1917 წელს, 10 სექტემბერს თფილისის საეპისკოპოსო სასწავლებლის დარბაზში გამართა საქართველოს საეკლესიო კრების წევრთა—ერისკაცთა მრავალრიცხოვანი კრება (ოცზე მეტი სამღვდელო პირნიც), რომელზედაც მსჯელობა იქონია საქართველოს სარწმუნოებრივ განხილვაზე და ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: დაუყონებლივ გადაისინჯოს ქართველთა სარწმუნოების სწავლა მოძღვრებითი, ღვთის-მსახურებითი, მართვა გამგეობითი მხარეები და დიდის სიფრთხილით და თანდათანობით განიდევნოს ეკლესიიდან ქრისტეს წმიდა მოძღვრების წინააღმდეგი დებულებანი, რომელნიც მასში (ეკლესიაში) შეიტანეს არიან მეფე-მთავართა და მათ მსახურთაგან მშრომელი ხალხის დასაბრმავებლად და დასამონებლად“. პრეზიდიუმმა არც ამ რეზოლუციას გაუწია ანგარიში და არამც თუ განიხილა იგი, არამედ—წაკითხვის ღირსადაც არა სცნო.

გონივრული საქმეებისათვის ვის სცალოდა, კლერიკალები და მათი ბელადი ნაციონალ-დემოკრატები ცდილობდენ ძველი დახავსებული საეკლესიო წესები აღედგინათ და „შეეხამებინათ“ ახალ ცხოვრებასთან.

ძველი ეკლესიის სიმტკიცისათვის სწავლა-მოძღვრებითი მხარე „უცვლელად და შეურყევლად“ გამოაცხადეს, მუშაობა დაიწყეს მხოლოდ მართვა გამგეობის ნაწილიდან, ოდნავად შეეხენ ღვთის მსახურებასაც, მაგრამ, ისიც უმნიშვნელოს, აქაც სასტიკად დაამარცხდენ. დიდის უმრავლესობით კრებამ მოისპო კურიალური სისტემა, ცენზი და სხვა ამგვარი, რაიც აქამდის მორწმუნეთა საშუალებას უსპობდა თავისი ეკლესიის შიდა ცხოვრება თვითონვე განეგოთ. ამიერიდან კი თვით მორწმუნეთა წარმომადგენელნი, განურჩევლად ცენზისა, სქესისა, მღვდელმთ-ბერობისა და რაიმე თანამდებობისა, თვითონ შეადგენს ისეთ საეკლესიო მართველობას, რომელიც ყველაფერს ხალხის რწმენა-სურვილზე მოაწყობს.

ამ დადგენილების შემდეგ კრების მეთაურნი თითქოს დაიბნენ, მაგრამ მაინც განაგრძეს თავიანთი „მუშაობა“. არა სავალდებულოდ აღიარეს სამღვდელო პირთათვის თმა-წვერ ულვაშის და ანაფორის ტარება, უარჰყვეს ნაკლებად ნახელმწიფოარს ნაბიძების ჯვრების გულზე ტარება, საჭიროდ სცნეს წირვა-ლოცვის შემოკლება, უარყოფილი იქმნა ბერობა და ეპისკოპოსთა უცოლობა (ამ საკითხს, წინააღმდეგ კრების უმრავლესობის მოთხოვნისა, კენჭი არ უყარეს და იგი გადაეცა კომისიაში შემდეგი კრებისათვის). ქალებს ნება დართეს დიაკვნის თანამდებობისა, სურვილი გამოითქვა ახალი სტილის შემოღებისა და სხვა.

რაც შეეხება სამღვდელოების ქონებრივ მდგომარეობას, გადასწყვიტეს, მოითხოვონ მთავრობას თითო მღვდლისათვის მღვდელ-დიაკვნის ჯამაგირად ოთხი ათასი მანეთი. ამ საკითხის გადაწყვეტაში ერისკაცების უმრავლესობას ხმა არ მიუცია.

ჩვიდმეტ სექტემბერს მოხდა კათალიკოსის არჩევნები, არა სულით წმიდის ჩაგონებით, არამედ—უბრალო კენჭით. ყრიდენ კენჭს კირიონზე და ლეონიდეზე. ლეონიდემ მიიღო 230 თეთრი და 218 შავი კენჭი, ხოლო კირიონმა 242 თეთრი და 206 შავი. თორმეტი თეთრი კენჭით კათალიკოსად არჩეულ იქმნა კირიონი.

კათალიკოსს ჩამორთმეული აქვს ყოველივე განსაკუთრებული უფლება; იგი ითვლება მხოლოდ „პირველად თანასწორთა შორის“, მართვა-გამგეობა კი ეკუთვნის მასთან არჩეულ საკათალიკოსო საბჭოს, რომელშიაც მოხვდენ შემდეგი პირნი: დეკანოზები: ქ. ჭეკელიძე, ქ. ცინცაძე, ნ. თალაკვაძე—ერისკაცნი: მ. მაჩაბელი, პ. გოთუა, ი. ვართაგავა, ი. ბარათაშვილი, თ. სახოკია, ნ. ანდღულაძე, ი. ივანიძე და ა. კპანიძე.

ამ სიის შედგენაში ერისკაცებს ძლიერ ცოტა მონაწილეობა აქვთ მიღებული. ასე ამ გვარად მოხდა კლერიკალებისა და ნაციონალ-დემოკრატების მეთაურობით ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების „განახლება“ და ვნახოთ რა შედეგები მოჰყვება მათ „კეთილ ნამუშევარს“.

კადნიერი.

მუშათა შორის.

ქართულ გიმნაზიის მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრება.

ქართულ გიმნაზიაში მოსამსახურენი დიდ გაჭირვებას განიცდიდენ. და მართლაც განა შესაძლებელია ეხლანდელ დროში 5—6 თუმნით ცხოვრება? და ისიც როგორი: ძირითადი ჯამაგირი მხოლოდ 20 მან. იყო, დანარჩენი კი ომის დროს მომატებული, რომელსაც ომის გათავების შემდეგ წაართმევდენ და მუშებს უნდა შემდეგშიც 20 მანეთით ეცხოვრათ. მიუხედავათ ყველა მუშების სამართლიან მოთხოვნილებებისა და მათივე კავშირის დადგენილებისა, ქართული გიმნაზიის მესვეურნი მაინც განაგრძობდენ ჯიუტობას და მუშების მოთხოვნილებას ყურადღებას არ აქცევდენ. გავიდა ზაფხული, მუშებმა ხელ ახლა წამოაყენეს მოთხოვნილებები, და როცა დაინახეს მათ ყურადღებასაც არავინ აქცევდა, პირიქით, დასცინოდენ კიდეც, გაიფიცენ საბოლოო პასუხის მოლოდინში. აქაც თავი არ აიტკივეს პატივცემულმა „ხაზეინებმა“, დაუძახეს მოწაფეებს და დააწყებინეს გაფიცულების ადგილას მუშაობა. „ჩემს სახლში რაც მინდა, იმას ვიზამ, ვისაც მინდა იმას ვამუშავებ, იძახოდენ ისინი; მაგრამ მუშასთან ჯიბრში ჩადგომა არავის ხეირი არ მოუტანს და აკი დამარცხდენ კიდეც გიმნაზიის გამგეები! 15 სექტემბერს მოხდა საზოგადო კრება; ამორჩეულ იქნა კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია სასწავლებლის ხარჯთ-აღრიცხვა და ამისდაგვარად განესაზღვრა ჯამაგირი მოსამსახურეებისა და მასწავლებელთა შორის. კომისიის მუშაობამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო. საზოგადო კრებამ მოხსენება უცვლელად დაამტკიცა. ამ მოხსენებაში, მუშების მოთხოვნილებისამებრ განაწესებულია 13—14 თუმანი მათთვის და ძირითადი ჯამაგირი 40 მან. ნაცვლად 20 მანეთისა. გაფიცვა მუშების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

კან.

ქვარცხანა. 11 სექტემბერს შესდგა კვარცხანის სპილენძის ჩამომსხმელ ქარხ. და მადაროს მუშათა პროფესიონალური კავშირის დამფუძნებელი კრება. დაესწრო ოთხი ასი წევრი. კრების გახსნისას თავჯდომარემ დამსწრეთ მიმართა სიტყვით და აუხსნა პროფესიონ. კავშ. დანიშნულება. მოუწოდა შეკავშირებისაკენ. გამგეობაში დარჩენს ისევ ძველები და მოუმატეს მხოლოდ ერთი ახალი. გამგეობაში შედიან ამხ. ხარ. დარჩია, ვაცენი მიშ. ნაიშვილი პლ. ელევტეროვი, დ. ელევტეროვი, ტიპლიატოვი. სიმირივოვი და ვრ. ვართანიანცი. კავშირში დღეს ითვლება 150 წევრი. თანდათან ეწერებიან. მიღება არის ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 5 საათიდან 7 მდე. წევრების მიხედვით გამგეობის კრება ხდება სამშაბათობით და პარასკევობით. ამ დღეებშივე მიიღება ყოველგვარი განცხადებები და საჩივრები. ამხანაგებო და მოქალაქენო, ჩაეწერეთ კავშირში განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა.

გაუმარჯოს პროფესიონალურ კავშირს, გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

ვახ. თავაძე

P. S. კვარცხანის სპილ. ჩამომსხმელ ქარხნისა და მადაროს რაიონის ს. დ. პარტიის უკანასკნელ კრებაზე გადაწყდა დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლად ყველა წევრმა პარტიისა გადასდოს თითო დღის ქირა.

ვ. თ.

ჯარის-კაცთა წერილები.

ცნობა ფრონტიდან. სწერენ გაზეთები, ვითომც ჯარის-კაცები პოზიციას სტოვებდენ თავის სურვილით და მიდიოდენ უკან. ეს ყველა სამართლეს მოკლებულია. გაცნობებთ, საქმე რაშია: თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ფრონტი გრძელია. გადმოგვცემენ მარჯვნით გაარღვია მტერმა, მარცხნით გვეუბნებიან მარცხნით გაარღვია და უკან წამოსვლა უნდათ. თორემ გზას გადაგვჭრიან და ყველანი ტყვეთ ჩაუვარდებით ხელშიო. ჯარის-კაცებს მართლაც ასე გვგონიათ და მოვდივართ უკან. ამნაირათ დავიხიეთ უკან ქალაქ კალუშიდან, ორასი ვერსი ხუთ დღეში დღით და ღამით მოვდიოდით. მტერი ვერ დაგვეწია. თან თითქო ერთჯერაც არ გაგვისვრია ისე ჩავაბარეთ სისხლით აღებული ადგილები და თქვენ მაქეთ გაწვდიან ტელეგრამებს და ახალ-ახალ ამბებს, ვითომც ჯარის-კაცი ტოვებდეს პოზიციას. დღევანდელ დროში ჯარ.-კაცები თავის დღეში არ დატოვებენ პოზიციას და არც ტყვეთ ჩაუვარდებიან უბრალოთ მტერს ხელში, მაგრამ გვჭყლეტენ გენერლები აქ უკან წამოსვლაზე და ზოგიერთი შტაბის ოფიცრებიც. ბრალი კი ჯარის-კაცებს გვედება. მოგვეცით მაქედან რამე დახმარება, რომ ამნაირი საქმეს გასავალი არ ჰქონდეს ჩვენში.

ჯარის-კაცი 24 პოლკიდან მიხაკო მეველაძე.

პროვინციის ცხოვრება

ს. ბელისცია. 11 სექტემბერს დღისით სამ საათზე ავაზაკთა ბრბო ექვსი კაცისაგან შემდგარი, ცნობილ გიგო—რეზოს ბიჭის მეთაურობით, დაეცენ ს. ყვარელში აბულაძის სახლს,—გაიტანეს ფულად 5000 მან. და სხვა დასხვა ნივთები ღირებული 3000 მან. არავითარი წინააღმდეგობა დამცველთათვის არავის არ გაუწევია, რადგანაც მოულოდნელმა და თავზედურმა დაცემამ სროლით და თოფის გრიალით გამოიწვია მთელს სოფელში ალიაქოთი და იმის წარმოდგენაც, რომ სოფელს დაეცენ რამდენიმე მხრიდან. ამის გამო ყვარლელებმა დეპეშით გამოიწვიეს თელავიდან კომისარი, მილიციონერები და დამხმარებელნი მახლობელ სოფლებიდანაც.

ს. არეშის მახლობლათ მეორე ბრბომ გაძარცვა ლაგოდეხიდან ეტლით მომავალნი ორი მეთამბაქოენი და მოჯამაგირენი. ისე მოულოდნელათ დაეცნენ, რომ შიგ მსხდომნი თუმცა საკმაოდ შეიარაღებულნი იყვნენ, მაგრამ ვერ ვერავინ მოასწრეს რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ. იმ დროს, როდესაც ავაზაკნი ართმევდენ მგზავრთ სხვადასხვა ნივთებსა და ფულს, დანარჩენებ ოთხ მათგანს მზად ეჭირათ თოფები და ემუქრებოდენ სიკვდილით, ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა მათ. ავაზაკებმა მგზავრებს წაართვეს, როგორც თვით უბრალო ტანთსაცმელი, აგრეთვე ყველა სხვა. ფეხსაცმელსაც არ იწუნებდენ ისე, რომ უბრალო ჯიბის დანებსაც ართმევდენ. ნაღდ ფულად წაერთვათ სულ 7998 მან. ვასილ ავაკიანცს 110 მან., გიგა ნონიევს 1400 მ., ვანო ლეჩიევს 870 მ., მეეტლე ლექოს 25 მ., ვართან მანუკოვს 4500 მ., სერგო ოხკინოვს 1511 მ. ვანო არუთინოვს 2180 მ. და ერთ ქიზიყის მეეზოვეს 400 მ. და კიდევ ოტიაშვილს 1150 მან. წაართვეს აგრეთვე მგზავრებს იარაღი—რევოლვერი და სხ. მთელი წაღებული ნივთები ფულიანად შეადგენს 17 ათას მანეთს. შეიპყრეს ორი ავაზაკი. დანარჩენებმა კი მთელი ნაცარქექით მოასწრეს დაღესტანში გადასვლა. არეშში შესდგა სოფლის ყრილობა, ყრილობაზედ უმალვე გადააყენეს სოფლის კომისარი და სოფლისავე მილიციონერები, რომელთაც ბრალდებოდათ დაუდევრობა და ავაზაკების ხელისშეწყობა. ამავე ყრილობაზე დაადგინეს: მიიღონ ყოველივე ღონისძიება ავაზაკების შესაპყრობათ.

№

ს. ქვაბლა (გურია). მოხდა კოოპერატივის „ლაზმარის“ წევრთა წლიური კრება. კოოპერატივს 55 წევრი ჰყავს. ძირითადი თანხა აქვს 550 მ, საწევრო გადასახადი 27 მ. 50 კ. სესხი აქვს—4000 მ. 16 თვის განმავლობაში. ე. ი. 9 მარტიდან 1916 წლისა გაუყიდულა საქონელი 11,925 მ. 6 კ. წმინდა მოგება დარჩენია 722 მ. 40 კ. დუქნის ინვენტარი ღირს 132 მ. 80 კ. შენობა თავის ფურნით და მიწა შეძინეს წევრებმა. ამ ხნის განმავლობაში თითო წევრს შეუდგა ორ-ორი პაი კავშირისათვის გადაიდვა 110 მ. სათადარიგო თანხისთვის—24 მ., გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის 10 მ. კრებამ, მოისმინა რა ანგარიში—გამგეობას მადლობა გამოუცხადა. გამგეობაში არიან: ილარიონ მამალაძე, სევასტი და ვარლამ თედორაძენი. ნოქარს, ანდრია ცინცაძეს ეძლევა ჯამაგირი 800 მ. მოუმატეს 100 მ. და კარგი ყოფა-ქცევისთვის მადლობა გამოუცხადეს.

ი. ჯ.

ოზურგეთი. ყველა დაწესებულებაში მოსამსახურეებს მოუმატეს ჯამაგირები. მილიციონერები კი ისევ ძველ პირობებში რჩებიან, თვიურათ 50 მანეთს ღებულობენ, რომელიც არ აღემატება უწინდელ 7 მანეთს. (სხვა ქალაქებში მილიციონერები გაცილებით მეტს ღებულობენ და სურსათ ბინებიც აქვთ). საჭიროა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას ვისაც ჯერ არს და უპირველესად კი, თითონ ჩვენ, მილიციონერებმა, უნდა აღვიმაღლოთ ხმა. ამ ჯამაგირით ცხოვრება ამ საძვირეში შეუძლებელია. რა თქმა უნდა, მილიციონერები წარადგენენ კანონიერ მოთხოვნილებებს და სასურველია, მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნეს.

ისელი.

დილომი (თელავის მაზრა). 8 სექტემბერს მოჰკლა ადგილობრივი მცხოვრები სოფლის ენენეშვილი თავის გერმა. მკვლელი ამ დღესვე დაატუსაღეს. 10 სექტემბერს შემდეგი სურათის მოწმე გავხდი: ჯოხებით, ფოცხებით და ქვებით შეიარაღებული ბრბო მიდიოდა სატუსაღოს და მოითხოვდა მკვლელის გარეთ გამოყვანას, რომ თვითონ გაესამართლებია იგი. ბევრი ლაპარაკისა და მტკიცების შემდეგ, როგორც იქნა, შეაგონეს ხალხს, რომ ასეთი მოქმედება არ შეეფერება თავისუფალ მოქალაქეებს, რომ ამით მხოლოდ ბნელი ძალები ისარგებლებენ და სხვ. ისინიც გაშორდნენ სატუსაღოს და მკვლელი გადარჩა. ხალხის აღელვებას, თვითგასამართლების გამოწვევას ხელს უწყობს კონტრ-რევოლუციონერები. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ხალხის ინტელიგენციამ. დამნაშავის გასამართლებაც უნდა მოხდეს, რაც შეიძლება დაჩქარებით, რომ ხალხს არ აღელვებდეს მათი დანახვა და ეს ნიადაგს არ უმზადებდეს თვითგასამართლებას.

გიგა მეხტიევი.

ს. ჯოლდიში (სიღნაღის მაზრა). 20 აგვისტოს აქ მოხდა ადგილობრივ მოხმარებელ საზოგადოება „მომავლის“ წევრთა საერთო კრება. გამოირკვა, რომ „მომავალს“ ჰქონებია ძირითადი თანხა, საწევრო და საპაიო, 1485 მან., აქედან საქონელი 1140 მან. 29 კაპ., ფულით—682 მან. 16 კაპ., სულ 1822 მან. 45 კაპ., თავისი ფულის გამოკლებით დარჩა მოგება 357 მ. 45 კ.

შემდეგ კრებამ გამოუცხადა ნდობა ძველ გამგეობას და სთხოვა ეხლავე შეუდგომოდა საერთო განყოფილების გახსნას. წ.-კ. გამ. საზ. სიღნაღის განყოფილების გამგეობამ გახსნა სოფ. ჯოლდიში სამკითხველო ეგნატე ნინოშვილის სახელზე, რომელიც მოთავსებულია ადგილობრივ კოოპერატივის შენობის თავისუფალ ოთახში.

უბისა. წელს დიდი უკმაყოფილებაა სანადგურო მიწების გარშემო. ერთი თვის წინეთ ამ გარემოებას მუშათა საბჭომ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და მისცა წინადადება სამაზრო აღმ. კომიტეტს დაეგზავნა ყველა სოფლის კომიტეტებში შემდეგი შინაარსის დადგენილება: თანახმათ გლეხთა და სხვა ყრილობების დადგენილებისა სანადგურო მიწების შესახებ სოფლად ლდება მომრიგებელი კამერები ყოველივე უთანხმოების მოსასპობლად მემამულეთა და გლეხთა შორის. პირველი ხარისხის მიწიდან უნდა მიიღოს მეპატრონემ ერთი მესამედი, მეორე ხარისხის—ერთი მეოთხედი და მესამე ხარისხის—ერთი მეხუთედი. ამ გადაწყვეტილებით უნდა იხელმძღვანელონ კამერებმა. აქედან გამონაკლისს შეადგენს იმ ჯარისკაცთა მამულები, რომელთა ნაწილი გამოწვეულია მუშა ხალხს ჯარში გაყვანით, ქვრივ ობლების მიწები და სხვ. მიუხედავათ ამისა, დიდი აურზაურია ატეხილი მემამულეების მხრიდან. მათ არ სურთ დაემორჩილონ ამ გადაწყვეტილებას. სოფლის მომრიგებელმა კამერებმა ვერ იჩინეს შესაფერ მოქმედების უნარს. ურჩი მემამულეების წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. დადგენილება ტარდება ცხოვრებაში. იმედი გვაქვს, რომ ის ბოლომდე ისე გატარდება მთელს მაზრაში, რომ არ გამოიწვევს მწვავე შეტაკებას და სასურველად მოეგვარება.

პრომეთეოსი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ღია წერილი ს. ზანის (გურია) საზოგადოების მცხოვრებთ.

მოქალაქენო, [illegible] ჩვენი სოფლის ცხოვრებას [illegible] რომ, [illegible] და [illegible] და როგორც მას (სოფელს) შეეფერის. დამეთანხმებით, რომ ზანა ჩამორჩა გურიის ბევრ სოფლებს ეკონომიურად და კულტურულად. მიზეზი ამის ბევრია, მაგრამ მათი გამორკვევა რთული საქმეა და არ მიზნათ ამ მცირე წერილში. მე მსურს ერთ რამეს მივაქციო თქვენი ყურადღება: ჩვენს სოფელში რომ ფოსტა-ტელეგრაფი გაიხსნას, ვგონებ, ამითი ბევრს შევძენთ მას. ფოსტა-ტელეგრაფი ხომ ერთი უმთავრესი საშუალებათაგანია ეკონომიურისა და კულტურულ წინსვლისათვის. ალბათ, არა ერთხელ და ორჯელ დაბადებია ეს აზრი წინათ ჩვენში, მაგრამ მაშინ, რევოლუციამდე, მისი განხორციელება არც ისე ადვილი იყო, დღეს კი საშუალება გვეძლევა მივაღწიოთ ამ მიზანს, თუ მთელი სოფელი და არა მარტო ზანა, არამედ მისი მოსაზღვრე საზოგადოებანიც მოისურვებენ და ერთსულოვნად გადასწყვეტენ ამ დაწესებულების გახსნას ყველასათვის ხელმისაწვდომ და მოხერხებულ ადგილას. საჭიროა თქვენგან ერთსულოვანი განაჩენი („პრიგოვორი“), ჯეროვანად შედგენილი საერთო ყრილობაზე სათანადო ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით და ამ განაჩენის გამოგზავნა აქ, თფილისში საფოსტო-ტელეგრაფო ოლქში. განაჩენში უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ კისრულობთ შესაფერი შენობა დაუთმოთ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას და მისცეთ ყოველ წლიურათ შეშა, დანარჩენს ყველაფერს ხაზინა იკისრებს. თითოეულ სოფელ უფლებიანი ფოსტა-ტელეგრაფი ფოსტის ყოველდღიური მიმოსვლით. სოფლის რწმუნებულის როლს, თუ საზოგადოება დამავალებს, მე ვიკისრებ სიამოვნებით, ოღონდ ქაღალდში უნდა აღინიშნოს, რომ მე მენდობით საქმის წარმოებას და თვით თხოვნა-განაჩენის წარდგენას, სადაც ჯერ არს. ქაღალდის გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით: თფილისი, მელიქოვის ქ. № 7. მე.

პატივისცემით ალექსანდრე ლომთათიძე.

პასუხათ ი. ბაქრაძეს, ი. ქოიავას, ან. ქოიავას, დ. თავართქილაძეს, 6 ქალაქის და ეგდღიას ფლოტებს.

თქვენ მიერ წამოყენებული ჩემდამი ბრალდება გაზეთ „ერთობის“ № 149-ში არის ცილის წამება. სინამდვილის გამოსარკვევათ გიწვევთ ზემოხსენებულ პირებს სამედიატორო სასამართლოში. თუ მე გამტყუნდე გადავიხადო 300 მ. თუ არა და თქვენ თვითოეულმა სამ-სამი თუმანი გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ. ჩემის მხრივ ვასახელებ მედიატორად ა. ამბროლაძეს. ველი თქვენ პასუხს ერთ კვირის ვადით დღიდან გაზეთში გამოცხადებისა.

ი. ალიხანაშვილი.

ჩვენი ფოსტა.

ალი წიდელს. თქვენი წ ნადმონს სიამოვნებით ვიღებთ. მოგვიწერეთ.

ქ. ქუთაისი.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, მაღაზიების ქ., ხაჭრაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და შარდის (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სახლ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი

ექიმ ზ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი სნეულებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ოდიში

დ. ი. ჟორდანია

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარიით და ქრონიკული ტრიპერით. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (თილუბე)

ბინის დამქირავებელთა კავშირმა

დაბეჭდა და გამოსცა

„ბინის ახალი კანონი 5 აგვისტო 1917 წელი“

რომელიც იყიდება კავშირის გამგეობაში (სოლოლ. ქ. სკლუბ. მმართველობა) და ღირს 20 კ.

კანტორა „განათლება“

უგზავნის თავის აგენტებს შემდეგ ჟურნალ-გაზეთებს: „ერთობას“, „ეშ. მათრახს“, „Борьба“-ს, „სახალხო საქმეს“, „საქართველოს“, „ალიონს“, „Кавк. Рабочій“-ს, „ბრძოლას“, „სოფლის მუშას“, „Республика“-ს, „თეატრი და ცხოვრებას“, „ფიქრს“, „კავშირს“ და ყველა ახალ გამოსულ ქართულ გაზეთებს და წიგნებს.

კანტორაში არის გასაყიდი კანტორის გამოცემა ნ. რამიშვილის ცნობილი წიგნი „აგრარიული მატერიალიზმ“, ს.-დ. მოღვაწეები საქართველოში, ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ტარიელ გოლუა“, პეტროგრადიდან მიღებული სხ. და სხ. ნაირი თანამედროვე დიდძალი ლიტერატურა და ყველა გამოცემა ადგილობრივი ორგანიზაციების ქართულ-რუსული. ნასიათ გაზეთები და წიგნები არავის არ გაეგზავნება. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა [illegible] № 1.